

# ეკონომისტი

პრაქტიკულ-სამეცნიერო ჟურნალი

№2

იანვარი

2007

1591

2007

» ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, მენარმეთა და მეცნიერთა პოზიციები)

» გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

» საკანონმდებლო სიხლენი (სამენარმეო სამართალი), კომენტარები

» მენარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები



ა
ხ
ა
ლ
ი  
*axali*  
ე
კ
ონ
ომ
ის
ტ
ი  
**EKONOMISTI**



სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი № 2 (ე) იანვარი, 2007 წელი  
 SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE № 2 (e) January, 2007

მოთავარი რედაქტორი:  
 ლეიდი ქარჩავა

**Editor-in-Chief:**  
**LOID KARCHAVA**  
**EDITORIAL BOARD**

სარედაქციო კოლეგია  
 საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:  
 ლეო ჩიქავა,  
 ავთანდილ სილაგაძე  
 ეკ. მეცნ. დოქტორები. პროფესორები:  
 რევაზ გველეშვიანი,  
 თემურ შენგელია,  
 ელენე ხარაბაძე,  
 ელგუჯა მეკვაბიშვილი,  
 ნოდარ ხაღური,  
 ნუგზარ თოდუა,  
 მიხეილ ჩიქვილაძე,  
 სიმონ ბელაშვილი,  
 მირიან ტუხაშვილი,  
 ეთერ ხარაიშვილი,  
 ლარისა ყორღანაშვილი,  
 იაკობ მუსხია,  
 გიორგი ჟამბაძე,  
 რევაზ კაკულია,  
 მერაბ კაკულია,  
 შოთა ვეშაპიძე,  
 გივი გამსახურდია,  
 პარლელ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია),  
 ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია).  
 გიორგი ისაკაძე (საქართველოს ბიზნესმენ-  
 თა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი).  
 გოჩა თუთბერიძე (ბიზნესის მართვის  
 ბიუროს დირექტორი, ეკ. მეცნ. კანდიდატი,  
 პროფესორი).  
 დავით ნარმანია (საქართველოს ახალ-  
 ვაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის  
 თავმჯდომარე, ეკ. მეცნ. კანდიდატი, პროფესორი).  
 თამაზ ვაშაკიძე (მცირე მეწარმეთა  
 კლუბის მენეჯერი, საქართველოს მეწარმეთა  
 კავშირის აღმასრულებელი დირექტორი).  
 ზვიად როგავა (იურისტი)

Members of Academy of Science of Georgia:  
**LEO CHIKAVA,**  
**AVTANDIL SILAGADZE**  
*Dr. Prof. of Economics*  
**REVAZ GVELESIANI,**  
**TEMUR SHENGELIA,**  
**ELENE KHARABADZE,**  
**ELGUJA MEKVABISHVILI,**  
**NODAR KHADURI,**  
**NUGZAR TODUA,**  
**MICHAEL CHIKVILADZE,**  
**SIMON GELASHVILI,**  
**MIRIAN TUKHASHVILI,**  
**ETER KHARAISHVILI,**  
**LARISA KORGANASHVILI,**  
**JAKOB MESKHIA,**  
**GIORGI TSERETELI,**  
**REVAZ KAKULIA,**  
**MERAB KAKULIA,**  
**SHOTA VESHAPIDZE,**  
**GIVI GAMSAKHURDIA,**  
**HARALD KUNZ ( Brandenburg, Germany),**  
**WOLFGANG WENG (Berlin, Germany),**  
**GIORGI ISAKADZE (Executive Director**  
*of Federation of Georgian Businessmen).*  
**GOCHA TUTBERIDZE (Director of Business**  
*Management Bureau, Dr. Prof.)*  
**DAVID NARMANIA (Chairman of Board of**  
*Association of Yang Economists of Georgia, Dr. Prof.)*  
**TAMAZ VASHAKIDZE (Manadger of Club of**  
*Smol Entrepreneurs, Executive Director of Union*  
*of Georgian Entrepreneurs)*  
**ZVIAD ROGAVA (Lawyer)**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

მისამართი: ალ. გრიბოედოვის ქ. №15  
 ტელ: 93-52-83  
 მობ: 8(55)277-554  
 ელ.ფოსტა: karchava-l@myoffice.ge  
 akonomisti@yahoo.com

რედაქცია შეიძლება არ იხიარდეს ავტორის ანონიმურობის სისუსტეზე. პასუხისმგებელია ავტორი. რედაქციასთან შეუთანხმებლად ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდა ან სხვა რაიმე სახით გამოყენება დაეშუბება.



საზოგადოებრივი მედიის კავშირები

<b>ეკო-დაიჯესტი</b> . . . . .	<b>5</b>
<b>მეცნიერება</b>	
დავით ნარმანია, ელგუჯა ხოკრიშვილი – საქართველოს საგადასახადო სისტემა. . . . .	7
მადონა ბელაშვილი – რაციონალური მოლოდინის თეორია . . . . .	12
სლავა ვეტილავა – საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციის მიზნებით საქართველოსათვის გაწეული დახმარებები 1995–2006წწ. . . . .	16
<b>ბუღალტრული აღრიცხვა</b>	
ელენე ხარაბაძე – არამატერიალური აქტივების აღრიცხვა. . . . .	20
<b>მეწარმის აზრი</b>	
თამაზ ვაშაკიძე – ინოვაციური საქმიანობის ინსტიტუციონალური საფუძვლები . . . . .	25
<b>კითხვა-პასუხი</b>	
თეიმურაზ კოკალეიშვილი . . . . .	29
<b>საკანონმდებლო სიახლენი</b> . . . . .	<b>31</b>
<b>ბახსენება</b>	
გელევან ხელაია, ლამარა ქოძიაური – აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე – გამოჩენილი მეცნიერი, აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე. . . . .	60
<b>რა ხდება მსოფლიოში</b> . . . . .	<b>61</b>





ა შ შ ც ი ო ნ ი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში თებერვლის დასაწყისში გამართულ აუქციონზე რვა ობიექტი გაიყიდა, რის წყალობითაც ბიუჯეტმა 13 მილიონის ოდენობის შემოსავალი მიიღო. კერძოდ: გაიყიდა კოსტავას 77-ში მდებარე სამი შენობა-ნაგებობა და მიწის ნაკვეთი (მილიონ 320 ათასი ლარი), მფლობელი კი ვალდებულია, შეინარჩუნოს ობიექტის საგანმანათლებლო პროფილი.

კოჯრის ქუჩის პირველ ნომერში მდებარე შენობა ფიზიკურმა პირმა მილიონ 120 ათას დოლარად შეიძინა;

ასევე, ფიზიკურმა პირმა შეიძინა თვალჭრელიძის ქუჩის ორ ნომერში მდებარე შენობა-ნაგებობა მიწის ნაკვეთით, 4 მილიონ 125 ათას ამერიკულ დოლარად;

ფიზიკური პირის საკუთრება გახდა თემქის მე-11 მიკრორაიონში მდებარე შენობა-ნაგებობაც, რომლის ფასიც 95 000 ამერიკული დოლარი იყო;

ფირმა „ჯი ემ პიპ“ ფონიჭალაში 505 ათას დოლარად იყიდა შენობა-ნაგებობა; ვეზიროვის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა კი ფიზიკურ პირს 62 000 ამერიკულ დოლარად ეგრო;

„სერვის კომპანი“-ს კახეთის გზატკეცილზე მდგარი შენობა-ნაგებობის შეძენა 205 ათასი ამერიკული დოლარი დაუჯდა;

„სი ბი ეს ჯორჯიაშ“ კი ბოვდან ხმელნიცკის 181 ნომერში არსებული ქონება 77 ათას ამერიკულ დოლარად შეიძინა.

„ენერგოპრომ“ რვა ენერგოობიექტი შეიძინა

ჩეხური კომპანია „ენერგოპრომ“-სთვის ექვსი ჰესის, აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა და საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიყიდვის შესახებ შეთანხმება სასტუმრო „ქორთარდ მერიოტში“ 5 თებერვალს გაფორმდა.

ჩეხური კომპანიის ხელში გადადის გაერთიანებული სადისტრიბუციო და აჭარის ენერგოკომპანიები, ასევე რიონჰესი, ლაჯანურჰესი და შორჰესი. ეს ორი სადისტრიბუციო ქსელი საქართველოს ტერიტორიის 70%-ს ფარავს.

სრული პაკეტის ღირებულება 427 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. აქედან 132 მლნ ბიუჯეტში გადაირიცხება, 120 მლნ 100 მბტ სიმძლავრის ახალი ჰესის მშენებლობაზე დაიხარჯება.

დანარჩენი თანხა კი დისტრიბუციისა და გენერაციის ობიექტების რეაბილიტაციას მოხმარდება, მათ შორის 100 მლნ. აშშ დოლარი - მხოლოდ დისტრიბუციას.

შეთანხმების თანახმად, ჩეხურ მხარეს 54 დასახლებულ პუნქტში ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟება და შექმნილი ჰესების რეაბილიტაცია მოუწევს.

ჩეხური ენერგოგოგანტი ბულგარეთში 8 ელექტროსადგურის მფლობელი და ელექტროენერჯის 40%-ის მწარმოებელია. ჩეხური კომპანია ბიზნესის გაფართოებას აღმოსავლეთ ევროპისა და შავი ზღვის ქვეყნებში გეგმავს. სამას მილიონიანი ინვესტიციის განხორციელებას კომპანია რამდენიმე კვირაში დაიწყებს.

29952

ეკო-დაიჯესტი

საქართველოს  
საარსებობის  
ენერჯის  
ბიზნისი



67-ე წიგნი

2007 წლის ორ თებერვალს საქართველო ახის განვითარების ბანკის 67-ე წიგნი გახდა. ბანკის საწესდებო კაპიტალი 3,546,311 აქციისგან შედგება, რაც 53.06 მილიარდი დოლარის ექვივალენტია. საქართველო კი ახის განვითარების ბანკის საწესდებო კაპიტალის 12, 081 აქციის მფლობელია.

ახის განვითარების ბანკი ფილიპინების დედაქალაქ მანილაში 1966 წელს დაფუძნდა. მისი საქმიანობის მიზანია წიგნი ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ხოლო ძირითადი პრიორიტეტი კი – მდგრადი ეკონომიკური ზრდის, სოციალური განვითარებისა და მართვადობის გაუმჯობესების დაფინანსება. ახის განვითარების ბანკი სესხების გაცემისა და ტექნიკური მხარდაჭერის გზით აფინანსებს წიგნი ქვეყნებისთვის პრიორიტეტულ პროგრამებსა და პროექტებს. გასულ წელს სესხის სახით მან 8.5 მილიარდ დოლარზე მეტი გასცა, 242 მილიონი დოლარი კი პროექტებისა და პროგრამების ტექნიკურ მხარდაჭერას მოახმარა. ახის განვითარების ბანკში გაწვერიანებით საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება გრანტები და შეღავათიანი სესხები ისეთი სფეროების დასაფინანსებლად, როგორებიცაა ენერჯეტიკა, გზების რეაბილიტაცია, ჯანდაცვა, განათლება, კერძო ბიზნესის შემდგომი განვითარება, მართვის გაუმჯობესება და ასე შემდეგ.

საბანკო კონსტრუქციები




თბილისური სტატისტიკა

დედაქალაქის მერიის მონაცემებით, თბილისში მილიონ 81 700 ადამიანი ცხოვრობს, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის 25 პროცენტია. მოსახლეობის 39,5 პროცენტი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას წარმოადგენს და მათგან, მერიისეუ მონაცემებით, 73,9 პროცენტი დასაქმებულია. თუმცა დასაქმებულები არათანაბრად არიან გადანაწილებული ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით. კერძოდ: სამუშაო ძალის 22, 5 პროცენტი „საბითუმო და საცალო ვაჭრობის“, „ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტის“ სექტორშია განაწილებული. შემდეგ ადგილზეა „განათლების“ სექტორი – 16 პროცენტი. ასევე, დიდი წილი უჭირავს „გადამამუშავებელი მრეწველობისა“, „სახელმწიფოს მართვის“, „თავდაცვის“ და „საველდებულო სოციალური დახმევის“ სექტორებს – 10,7 და 10,3 პროცენტი.

მოამზადა ანა ბარამიძე

2007 წელი, №2(3)







საქართველოს საგადასახადო სისტემა



**დავით ნარმანიძე**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პროფესორი



**ელგუჯა ხოკრიშვილი**  
გერმანიის ქ. პოტსდამის უნივერსიტეტის დოქტორანტი

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ახალი ეკონომისტი“ №1, 2006წ; №1(2) 2007წ)

**ვადგადაცილებული დაავადების რეგისტრაციის მეთოდური რეკომენდაციები (გადავადება)**

ვადგადაცილებული დაავადებების რეგისტრაციის მეთოდური რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე და მისი პროცედურები დამტკიცებულია „საგადასახადო დაავადებებისა და სახელმწიფო სესხების რეგისტრაციის მეთოდური რეკომენდაციის“ საკითხის კანონით. აღნიშნული კანონის შესაბამისად, ვადგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დაავადებების რეგისტრაციის მეთოდური რეკომენდაციის საკითხს სწავლობს სპეციალური კომისია. კომისიას უფლება აქვს ვადგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დაავადებების რეგისტრაციის მეთოდური რეკომენდაციის შესახებ მოიწვიოს საწარმოს (ორგანიზაციის), შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

კომისიას გააჩნია შემდეგი ვადგადაცილებული დაავადებების მთავრობის წარმომადგენლები:

■ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ვადგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დაავადებების რეგისტრაციის მეთოდური რეკომენდაციის შესახებ;

■ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ვადგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დაავადებების მეთოდური რეკომენდაციის შესახებ;

■ ცალკეული ვადგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დაავადებების მეთოდური რეკომენდაციის შესახებ, სასესხო დაავადების საწარმოსაგან დამოუკიდებელი მიზეზებით წარმოშობის გათვალისწინებით;

■ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ვადგადაცილებული სასესხო დაავადების გარკვეული მეთოდური რეკომენდაციის შესახებ;

■ ცალკეული სასესხო დაავადების მეთოდური რეკომენდაციის შესახებ;

■ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ვადგადაცილებული სასესხო დაავადების მეთოდური რეკომენდაციის შესახებ, სასესხო დაავადების მეთოდური რეკომენდაციის შესახებ, სასესხო დაავადების მეთოდური რეკომენდაციის შესახებ, სასესხო დაავადების მეთოდური რეკომენდაციის შესახებ, სასესხო დაავადების მეთოდური რეკომენდაციის შესახებ.


ვადგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დაავადებების რეგისტრაციის მეთოდური რეკომენდაციის შესახებ საწარმოს (ორგანიზაციის) კომისიას წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

➤ საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის წერილობით მიმართვას;

➤ პარტნიორობა (აქციონერთა) კრების, უფლებამოსილ პირთა გადაწყვეტილებას ვადგადაცილებული დაავადების შესახებ;

თსუ-ს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემი





ილექტული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურის შესახებ;

➤ ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურის განხორციელების შესახებ იმ კრედიტორთა თანხმობას, რომელთა მოთხოვნა შეადგენს კრედიტორთა მოთხოვნების საერთო მოცულობის ორ მესამედზე მეტს;

➤ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების თანხმობას ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის მიმართ რიცხვული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურის მიზანშეწონილობის შესახებ;

➤ ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურის ეგვმს;

➤ წინადადებებს ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების გაყინვის ან/და გადავადების პირობებისა და ვადების შესახებ;

➤ შესაბამისი საგადასახადო ორგანოების მიერ გაცემულ ცნობას საბიუჯეტო და სპეციალური სახელმწიფო ფონდების მიმართ არსებული დავალიანების (გადასახადების ცალკეული სახეების, ვარიანტებისა და საურავების მიხედვით) შესახებ;

➤ დებიტორებისა და კრედიტორების სიას (თანხების მითითებით) დამოწმებულს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის მიერ;

➤ ქონების ჩამონათვალსა და ამ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელ საბუთებს;

➤ აუდიტის დასკვნას ქონების ღირებულების შეფასების დასაბუთებით.

კომისია ზემოაღნიშნული ყველა დოკუმენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნის შესწავლის საფუძველზე ერთი თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურის მიზანშეწონილობის თაობაზე. კომისიის მიერ ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურის შესახებ დადებითი გადა-

წყვეტილების მიღების შემთხვევაში, საწარმოს (ორგანიზაციას) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება დავალიანებების რესტრუქტურის პირობები, ვადები, მათი დაფარვის გრავიტი და რესტრუქტურისათან დაკავშირებული სხვა საკითხები. კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შესაბამის დასკვნასა და ხელშეკრულებას წარუდგენს საქართველოს მთავრობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურის შესახებ. ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებები რესტრუქტურის შემთხვევაში ითვლება და საწარმო (ორგანიზაცია) რესტრუქტურის რეჟიმში მუშაობას იწყებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრული თარიღიდან.

კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაბამისი დასკვნა ეგზავნება საწარმოს (ორგანიზაციას), ხოლო განსაკუთრებული შემთხვევის დროს, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს. დასკვნა უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტებსა და შენიშვნებს, რომელთა გამოც საწარმოს (ორგანიზაციას) უარი ეთქვა ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურის შესახებ.


განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების გაყინვის ვადა არ აღემატება 24 თვეს, ხოლო ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ვადაგადაცილების ვადა განსაზღვრება არა უმეტეს 36 თვისა (გაყინვის პერიოდის დასრულებიდან). რესტრუქტურის შემთხვევაში ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებას გაყინვის პერიოდში პროცენტები და საჯარიმო სანქციები არ ერიცხება. ვადაგადაცილების პერიოდში რესტრუქტურის შემთხვევაში ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებას გადაუხდელ თანხაზე ყოველთვიურად ერიცხება რეგული 0,5 პროცენტის ოდენობით.

საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურის შესახებ









მთავრდება და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წყდება;

✓საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით;

✓ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვის შემთხვევაში;

✓ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების დაფარვის შემთხვევაში.

რესტრუქტურის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაფარვის უზრუნველსაყოფად.

**საწარმოები, ორგანიზაციები და ფიზიკური პირები.** საქართველოს

საგადასახადო კოდექსის ცალკეული ნორმების შესაბამისად, საწარმოები, ორგანიზაციები და ფიზიკური პირები წარმოადგენენ გადასახადების გადამხდელს ანუ საგადასახადო ურთიერთობების სუბიექტებს, რომლებსაც საკუთარი საშუალებების ხარჯზე კანონის ძალით აქირაით გადასახადების გადახდის ვალდებულება.

აღნიშნული განსაზღვრებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოეყოთ საწარმოების, ორგანიზაციების და ფიზიკური პირების, როგორც გადასახადის გადამხდელის და მასხასიათებელი ძირითადი ნიშნები:

•გადასახადის გადამხდელი წარმოადგენენ საგადასახადო სამართლის სუბ-

იექტებს, რომლებიც შეიძლება არ დაემთხვეს სამართლის სხვა დარგების სუბიექტების ცნებას. ტრადიციულად გადასახადის გადამხდელის წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა სტატუსი განსაზღვრულია სამოქალაქო კანონმდებლობით. გარდა ამისა, გადასახადის გადამხდელთა სხვა კატეგორიები გათვალისწინებულია მხოლოდ საგადასახადო კანონმდებლობით. მათ მიეკუთვნებიან აშხანაგობები და უცხოელი ფიზიკური პირის ან უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებები.

აშხანაგობების, უცხოელი ფიზიკური პირის ან უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულების საგადასახადო სტატუსი საქმოდ პირობითია და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. საერთო წესის შესაბამისად, აშხანაგობები ხელშეკრულების საფუძველზე საერთო მიზნის მისაღწევად შექმნილი პირების (ფიზიკური და იურიდიული) ერთობლიობაა. უცხოელი ფიზიკური პირის ან უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებაში იგულისხმება ნებისმიერი ადგილი, საიდანაც რეგულარულად ხორციელდება საშუალების შესრულებასთან, მომსახურების გაწევასთან და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული საქმიანობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობით გადასახადის გადამხდელის წარმოადგენს ოჯახი მთლიანობაში და არა ცალკეული ფიზიკური პირი. ცალკეულ ქვეყნებში დამოკიდებული გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს გადასახადის გადამხდელთა კონსოლიდირებული ჯგუფი. ეს ნიშნავს, რომ ურთიერთდაკავშირებული საწარმოების ჯგუფები გადაიხდიან კონსოლიდირებულ გადასახადებს. აღნიშნულ შემთხვევაში არ დაიბეგრება ის საშუალებები და ქონება, რომელიც მოძრაობს ამ ჯგუფის (მაგალითად, კონცერნის) ფარგლებში.

•გადასახადის გადამხდელი წარმოადგენენ ვალდებულ სუბიექტებს, რომელთა ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს გადასახადების გადახდა. საგადასახადო კოდექსის ცალკეული მუხლებით, გადასახადების შესაბამისად მოცემულია გადამხდელთა ის

ბრუნდება





კატეგორიები, რომლებიც ვალდებული არიან გადაიხადონ გადასახადები. ზოგიერთ შემტხვევაში, ეს ფიზიკური პირებია (ან მათი ოჯახი), ზოგიერთ შემტხვევაში – ორგანიზაციები, ზოგიერთ შემტხვევაში – საწარმოები.

**• გადასახადის გადამხდლები წარმოადგენენ იმ პირებს, რომლებიც იხდიან გადასახადებს საკუთარი საშუალებების ხარჯზე.** მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება, რომ გადასახადების გადახდა წარმოებს იმ საშუალებების ხარჯზე, რომელიც ეკუთვნის გადასახადის გადამხდელს. გადასახადების გადახდა შესაძლებელია შემოსავლის გაცემის წყაროსთან გადასახადის დაკავების გზით ან უშუალოდ გადასახადის გადამხდელის მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელი უნდა განვასხვავოთ **გადასახადის მატარებლისგან.** "გადასახადის მატარებლის" ცნება გამოიყენება ძირითადად ეკონომიკური ასპექტით. გადასახადის მატარებელი არის პირი, რომელსაც საბოლოო ჯამში აწევება გადასახადით დაბეგვრის სიმძიმეს, ე.ი. საბოლოო ჯამში ბიუჯეტში გადასახადის გადახდა წარმოებს აღნიშნული პირის ხარჯზე. ასე მაგალითად, არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, აქეზიზი, საბაჟო გადასახადი) მატარებელს წარმოადგენს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბოლოო მიმმართველი.

საგადასახადო სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტები ადგენენ გადასახადის სუბიექტს და არა გადასახადის მატარებელს. საკუთარი საშუალებების ხარჯზე გადასახადის გადახდის ვალდებულება არ ნიშნავს, რომ გადასახადის გადამხდელმა გადასახადი უნდა გადაიხადოს უშუალოდ (ე.ი. თავისი ანგარიშიდან ან ნაღდი ფულადი საშუალებებით). გადასახადის გადამხდელის სახელით გადასახადი შეიძლება გადახდილი იქნეს სხვა პირის, მაგალითად, საგადასახადო აგენტის (წარმომადგენლის) მიერაც.

არ არსებობს უნივერსალური გადასახადის გადამხდელი. თითოეულ გადასახადთან მიმართებაში დგინდება კონკრეტულ პირთა წრე, რომ-

ლებიც ვალდებული არიან გადაიხადონ გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის, საწარმოებს განეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციული წარმონაქმნები, რომლებიც აქ მაყოფილებენ შემდეგ პირობას:

**არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები.** ასეთი პირებია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კოოპერატივი. სხვა სახის პირების (მაგ. კავშირები, ფონდები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები) საქმიანობა არ ჩაითვლება ეკონომიკურ საქმიანობად, ვინაიდან მათი შექმნის საფუძველი არა ეკონომიკური, არამედ საჯარო და სხვა სახის საქმიანობაა;

**არიან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი პირები** – კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები. მათ შესაძლოა არ ჰქონდეთ იურიდიული პირის სტატუსი ან არ იყვნენ უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება საქართველოში. მთავარია ის, რომ ისინი ეწეოდნენ ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში;

**არიან გავრთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები** ანუ ორი ან მეტი იურიდიული პირის გავრთიანება საერთო ეკონომიკური საქმიანობის საწარმოებლად.

ინდივიდუალური საწარმო, როგორც განსხვავებული სტატუსის მქონე წარმონაქმნი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის არ ითვლება საწარმოდ, ანუ ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც არის მეწარმე ფიზიკური პირი და გააჩნია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, საქმიანობას ახორციელებს როგორც ფიზიკური პირი და იბეგრება საწარმოსაგან განსხვავებული წესებით.

ორგანიზაციული საწარმო





რაციონალური მოლოდინის თეორია

მაღონა ბელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ასოცირებული პროფესორი.

მოლოდინი უდიდეს როლს თამაშობს ეკონომიკაში. როდესაც მყიდველი ფიქრობს შეიძინოს ან სახის პროდუქტია, ან ორივე ერთად, ის გადაწყვეტილების მიღებისას ფიქრობს მომავალზე, რამდენად შეძლებს ამას მისი ბიუჯეტი. ანალიზისას ის გარკვეულ პროგნოზს აკეთებს, შემოსავლებისა და ფასების მომავალ ცვლილებაზე. მომავალი კი შეუცნობადია და ამდენად, ეკონომისტები, რომლებიც იკვლევენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, ფაქტობრივად იკვლევენ ადამიანების კავშირს შეუცნობ მოვლენებთან.

ეკონომიკური მეცნიერება იცნობს საკმაოდ ხშირ შემთხვევას, როდესაც წარსულში გამოთქმული ჰიპოტეზები თუ ვარაუდი ცხადდება რეალურად. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1887 წელს ა. მარშალი აღნიშნავდა, რომ ფულის მიწოდების გაზრდა შეამცირებს საბროკერტო განაკვეთს, გაზრდის კრედიტებს და საბოლოოდ ფასს. ამავე დროს მარშალი ამტკიცებდა, რომ ეს ინფორმაცია თუ ფართო მასებისათვის გახდება ცნობილი, მაშინ ადამიანები დაელოდებიან მოთხოვნის შესაბამის ექსპანსიას და ამ შემთხვევაში ფასები უფრო მაღალ დონეზე ავა.

1954 წელს მსგავსი იდეა გამოთქვა მოდელიანმა და გრუნბერგმა, მაგრამ მხოლოდ 1961 წელს ჯონ მუტმა შექლო ჩამოყალიბებინა რაციონალური მოლოდინის თეორია სრული ფორმით და იმ პრობლემათა წრე, რომელსაც იგი წარმოშობს. მუტის ეს გამოკვლევა ეხებოდა მიკროეკონომიკის დონეს, მაკრო დონეზე იგი 1970-იან წლებში იქნა გამოყენებული და სწორედ მან მისცა ბიძგი „ახალი კლასიკური“ მაკროეკონომიკის შექმნას, რომლის ფუძემდებლები იყვნენ: უოლტერსი, ლუკასი, სერჯენტის და უოლფსი.

„ახალი მაკროეკონომიკის“ საფუძველს წარმოადგენს ვალრასის კანონი, რომლის მიხედვით, თუ ფასები აბსოლუტურად ელასტიკურია, ყველა ბაზარი დაბალანსებულია. მაგრამ ტრადიციული იდეის საწინააღმდეგოდ „ახალი ეკონომისტებს“ კვლავწარმოების პროცესში შემაჯკთ დროის ფაქტორი.

ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისას ყველაზე მარტივი ზერზია, იმოქმედო ისევე, როგორც გასულ წელს – ეს არის ე.წ. სტატიკური მოლოდინის წესი. შესაძლებელია მომავალი წლის შედეგები გარკვეული დაშვებული შეცდომების შემთხვევაში არ იყოს წინა პერიოდის ტოლი, ამ შემთხვევაში ყოველ მომდევნო წელს უნდა იქნას წინა წლის შეცდომები გათვალისწინებული და აღმოფხვრილი – ადაპტირებული მოლოდინი. ეს მეთოდი ძალზედ მარტივია, რადგან ხდება მოლოდინის მუდმივი კორექტირება შეცდომების გათვალისწინებით. პროგნოზი ხორციელდება წარსული შეცდომების გამოსწორებით. ამდენად, ადაპტირებული მოლოდინი დაკავშირებულია წარსულთან ანუ „მიმართულია წარსულისკენ“ და მომავალთან კავშირში არ არის. (ეს წესი შემოღებულ იქნა 1956 წელს მილტონ ფრიდმენის მოსწავლის ფილიპ კაგანის მიერ). სწორედ ამიტომ ადაპტირებული მოლოდინის „მიმართულს წარსულისაკენ“, საწინააღმდეგოდ „რაციონალური მოლოდინი“ „მიმართულია მომავლისაკენ“.

მომავალი ქმედების პროგნოზირების ეკონომიკურმა სუბიექტმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს ეკონომიკური კონიუქტურა, მთავრობის პოლიტიკა, სახელმწიფო მოხელეების, მენეჯერების აზრი, სხვა ეკონომიკური აგენტების გამოცდილე-

სახელი უფრო მაღალ დონეზე ავა.






ბა. ერთ-ერთ ფაქტორად უნდა იქნას გმოყენებული ადაპტირებული მოლოდინის ფორმაც. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით რაციონალური მოლოდინის თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ ადამიანები თუ ეფექტიანად იყენებენ მთელ არსებულ ინფორმაციას, სისტემატური ხასიათის შეცდომები გამოირიცხვულია. ასე მაგალითად: თუ ქვეყნის პრეზიდენტი ახალი წლის მიმართებაში ხალხს მისცემს პირობას, რომ ინფლაციას შემცირებს 10%-იდან 5%-მდე, როგორ იქნება ხალხის რეაქცია, როგორ რეაქციას გამოიწვევს ეს კონიუნქტურის მდგომარეობაზე?

თუ მოსახლეობა სექსპტიკურად განწყობა ამ წინადადების მიმართ და მათი საქმიანობა ამ იდეიდან გამომდინარე არ შეიცვლება, მიზნის მიღწევა შეუძლებელი გახდება.

ხოლო თუ მოსახლეობა იხელმძღვანელებს რაციონალური მოლოდინის თეორიით, ენდობიან პრეზიდენტის დანაპირებს, დანტერესდებიან ფინანსური, სამრეწველო და პოლიტიკური წრეები, ქვეყანაში შესაძლებელი გახდება ინფლაციის 5%-მდე დაწევა და მოსახლეობა თავის სამეურნეო საქმიანობას განსაზღვრავს სწორედ 5%-იანი ინფლაციის პირობებში. ეს მოსაზრება შეიძლება გამოეხსნათ გრაფიკულად:



ვთქვათ ერთობლივი მოთხოვნა გაიზარდა AD0-დან AD1-კენ. თუ ფირმები გამოდიოდნენ ადაპტირებული მოლოდინის თეორიიდან, მაშინ ისინი ჩათვლიან, რომ ერთობლივი მოთხოვნის ზრდა გამოიწვევს მათი პროდუქციის მოთხოვნას და წარმოებას გაზრდიან  $y_0$ -დან  $y_1$ -კენ, მაგრამ ამ პროცესს მოყვება ფასების ზრდა  $P_0$ -დან  $P_1$ -კენ. ეს მოხდა იმიტომ, რომ ფირმებმა მიიღეს არასწორი გადაწყვეტილება: გაიზარდა მოთხოვნა, მაგრამ არ გაზრდილა მათ პროდუქციამოთხოვნა. წარმოების დანახარჯები წარმოების მოცულობის ზრდისას კი, გაიზარდა და ერთობლივი მოთხოვნის ხაზმა მარცხნივ და ზევით გადაინაცვლა AS1 - AS0. შედეგად წარ-

მოების მოცულობა კვლავ დაუზრუნდა  $y_0$  დონეს, ფასები კი გაიზარდა  $P_2$  დონემდე. ამდენად, თუ ერთობლივი მოთხოვნის ზრდა მოხდება მოულოდნელად და ეკონომიკური აგენტების მოქმედება განხორციელდება ადაპტირებული მოლოდინის შესაბამისად, ეკონომიკა გადააფილდება AE ხაზის მიხედვით  $y_1$   $y_0$  (AE - ადაპტირებული მოლოდინი).

ახლა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტები რაციონალური მოლოდინის ლოგიკის შესაბამისად მოქმედებენ. თუ მთავრობა და ეროვნული ბანკი იწინასწარ აცნობებს შესაბამის საბიუჯეტო - საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილების შესახებ, მაშინ ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა ფირმებისთვის არ იქნება მოულოდნელი. ისინი არ გაზრდიან წარმოებას და დატოვებენ  $E_0$  დონეზე, გაზრდიან ხელფასებს ფასების ზრდის საპასუხოდ. შესაბამისად წონასწორობის წერტილი გადაინაცვლებს არა  $E_1$ -კენ, არამედ პირდაპირ  $E_0$   $E_2$   $RE$  ვერტიკალური ხაზი არის რაციონალური მოლოდინის ხაზი.


ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში რაციონალური მოლოდინის პირობებში ერთობლივი

მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, როგორც მოქმედვდიან, ასევე გრძელვდიან პერიოდში, ბუნებრივი წარმოების მოცულობით - ამდენად, ახალი კლასიკოსები წაივინენ უფრო შორს ვიდრე ნეოკლასიკოსები და მონეტარისტები, რომლებიც თვლიან, რომ ერთობლივი მიწოდება ვერტიკალურია გრძელვდიან პერიოდში. ოპონირებას უწევდნენ ისინი ფულის საკითხშიც, ახალი კლასიკოსები თვლიან, რომ ფული ნეიტრალურია არა მარტო გრძელვდიან, არამედ მოკლევდიან პერიოდშიც.


შეგვიძლია გრაფიკულად გამოეხსნათ ფასებისა და შემოსავლების ცვლილება ადაპტირებული და რაციონალური მოლოდინის პირობებში:

ეკონომიკური მეცნიერება






ნახ. 2. წარმოების (ა) და ფასების (ბ) ცვლილება ადაპტირებული მოლოდინის პირობებში.



ნახ. 3. წარმოებისა და ფასების ცვლილება რაციონალური მოლოდინის პირობებში

ბოლოს, შეგვიძლია გამოვსახოთ სტატისტიკური, ადაპტირებული, და რაციონალური მოლოდინის პირობებში ეკონომიკური აგენტების საქმიანობა:

ნახ. 4. ფასების ცვლილების რეაქცია სტატისტიკური, ადაპტირებული და რაციონალური მოლოდინის პირობებში.



ახალი კლასიკოსები განსაკუთრებულ აზრს გამოთქამენ სახელმწიფოს როლსა და ფუნქციებზეც. ისინი წინააღმდეგნი არიან მონეტარისტიკის ღონეზეც კი სახელმწიფოს ჩარევისა ეკონომიკურ პროცესებში. მათი აზრით მეკ-მა წონასწორული მდგომარეობა შეიძლება დაკარგოს:

- 1) შემთხვევითი ეკონომიკური შოკების გამო და
- 2) სახელმწიფოს მხრიდან არასწორი შეგნებული ქმედებების გამო. ამასთან „ახალი კლასიკოსები“ დარწმუნებულნი არიან, რომ საზოგადოების რეაქცია აიძულებს სახელმწიფოს უმოკლეს დროში უარი თქვას შეგნებულ არასწორ ღონისძიებებზე.

ახალი ეკონომიკური სკოლა მიუხედავად არა მრავალრიცხოვანი მომხრეებისა, მაინც გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს განვითარებულ ქვეყნებში, ამაზე მეტყველებს, თუნდაც ის ფაქტი, რომ 1995 წელს ამ მიმართულებების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა რ.

ლუკასმა ნობელის პრემია მიიღო. ლუკასი მთელ მსოფლიოშია ცნობილი მაკროეკონომიკის პრობლემებზე შექმნილი ნაშრომებით, სწორედ ის არის ზემოთ განხილული „ახალი სკოლის“ აღიარებული ლიდერი. ლუკასმა რაციონალური მოლოდინის კონცეფცია იმისათვისაც გამოიყენა, რომ ეჩვენებინა: აუცილებელი როდია დასაქმების ზრდამ ინფლაციის გაზრდა გამოიწვიოს. მისი აზრით, თუ დავეყრდნობით ფილიპისის მრუდის მონაცემებს, რის შედეგადაც გაიზრდებოდა დასაქმების დონე ინფლაციის ტემპების სულ უფრო და უფრო მატების ხარჯზე, მარცხს განვიციდით.

ლუკასმა დაადგინა, რომ ფილიპისის მრუდი არ რჩება სტაბილურად უცვლელი, იგი იცვლება მაშინ, როდესაც ეკონომიკურ ურთიერთობათა აგენტების რაციონალური მოლოდინი ეგუება უფრო მაღალი ინფლაციის დონეს. ეს დასკვნა მართლაც დამტკიცდა მრავალი ევროპული ქვეყნის

ახალი უფრო





ეკონომიკური პოლიტიკით 60-იან წლებში, როდესაც მრავალი ქვეყნის ცენტრალური ბანკები და მთავრობები ინფლაციურ ზრდას მიმართავდნენ, რათა სტიმული მიეცათ ეკონომიკური ზრდისა და დასაქმებისათვის.

თუ ლუკასის პირველი შრომები აჩვენებდნენ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ გაკეთებულ დასკვნებში სტრატეგიული დამოკიდებულების არაკრიტიკული გამოცენების საშიშროებას, შემდეგ პერიოდში განავითარა რა თავისი კრიტიკა, მეცნიერმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი პრინციპები და ურთიერთკავშირები, რომლებიც გამოცენებულია მაკროეკონომიკურ ანალიზში და ადრე სტაბილურად მიიჩნეოდა არც თუ ისე მყარი ყოფილა. აქედან გამომდინარე, ამგვარ კანონზომიერებებზე დაყრდნობილი დასკვნები ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისებლად საიმედო არ ყოფილა. ლუკასმა მეცნიერებს შესთავაზა ანალიზის თეორიული დასაბუთებანი და სტრატეგიული მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ თავი აერიდებინათ ეკონომიკური ცვლილებების შედეგების არასაიმედო შეფასებებისათვის. შემუშავებული მეთოდები ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის საყოველთაოდ აღიარებულ ინსტრუმენტებად გადაიქცა. ლუკასმა დიდი წვლილი შეიტანა მაკროეკონომიკური თეორიის, ეკონომიკური ზრდის თეორიის განვითარებაში.

მოუხდავად ამისა ლუკასის მოცემული თეორია ბადებს მრავალ კითხვას და გარკვეულ უნდობლობასაც კი:

- 1) უპირველეს ყოვლისა ეჭვს ბადებს ის ფაქტი, რომ ყველა ეკონომიკური აგენტი (მუშები) შეძლებს თავისი საქმიანობის პროგნოზირებას რაციონალური მოლოდინის თეორიის შესაბამისად და არ დაუშვებს შეცდომებს.
- 2) საეჭვოა ფასების სრული ელასტიკურობაც.
- 3) ეკონომიკური პოლიტიკა ჩვენი აზრით,

უფრო ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე ვიდრე ამ თეორიის მიმდევრებს მიაჩნიათ, ეს ეზება როგორც ფასებს, ასევე წარმოების სხვა პარამეტრებსაც.

4) ეკონომიკური სუბიექტების ინტერესები ძალიან ხშირ შემთხვევაში არათუ არ ემთხვევა, აბსოლუტურად საპირისპიროცაა.

5) საეჭვოა, აგრეთვე, ისიც, რომ ეკონომიკური აგენტები შეძლებენ ფაქტობრივად მომენტალურად მოახდინონ რეაგირება ამა თუ იმ ეკონომიკურ რჩევებზე და ა.შ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ანანიაშვილი ი., მაკროეკონომიკა. ნაწ., 1. ტბ., 2002 წ.
2. არჩვაძე ი., ეკონომიკა და დრო. ტბ., 2000 წ.
3. Л. И. Абалкин, Экономическая энциклопедия. –М.: 1999г.
4. Э. Долан и др. Макроэкономика. Санкт-Петербург, 1999г.
5. А. С. Селищев, Макроэкономика. Санкт-Петербург, 2000г.
6. Fischer S., Franel J., *Macroeconomic Issues of Soviet Reform. Amerikan Ekonomik Rviev. 2004.*

იტიმინა უაღრესი





საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით საქართველოსათვის გაწეული დახმარებები 1995-2006 წლებში



სლავა შვტელავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი

საქართველოს კონსტიტუცია (მღებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს), როგორც ქვეყნის ძირითადი კანონი, განსაზღვრავს სახელმწიფოს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მოწყობის მექანიზმებს. კონსტიტუციით ვაცხადებული პრინციპების თანახმად, საქართველო არის დასავლეთის ფასეულობათა გაშვიარებული, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყანა, რომელსაც აღებული აქვს ვადლებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას და არ დაუშვას ქვეყანაში მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთანავე, სახელმწიფო გამოიღოს გარანტიად და ხელშეწყობდეს ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებები, დაცვის უზრუნველყოფის საქმეში.

სწორედ, კონსტიტუციური პრინციპების სრულყოფილად რეალიზების მიზნით, საერთაშორისო ექსპერტების მხარდაჭერით დაიწყო საქართველოში საკონკურენტო სამართლებრივი ბაზის სრულყოფა. კერძოდ, გერმანიის მთავრობის მიერ 1995-96 წწ. „იუსტიციის სამინისტროს გაეწია დახმარება სხვადასხვა კანონპროექტების შემუშავებაში . . . შემუშავდა . . . კანონპროექტი . . . კონკურენციის სფეროში საქმიანობის შესახებ და წარედგინა პარლამენტს განსახილველად“<sup>1</sup>.

ამასთან, კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზება, როგორც ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სრულიად ახა-

ლი მიმართულება საჭიროებდა შესაბამის ორგანიზაციულ-სამართლებრივ, საკადრო, ტექნიკურ და ინფორმაციულ უზრუნველყოფას. აგრეთვე, როგორც მეწარმეთა, ისე მომხმარებელთა ინფორმირებას ანტიმონოპოლიური რეგულირების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე, მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებებზე, ცხადია, აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება დაკავშირებული იყო გარკვეულ ფინანსურ სიძნელეებთან, რომლის მოწესრიგების მიზნით საქართველოს კონკურენციის ორგანო აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების კონკურენციის ორგანოებთან.

თავის მხრივ, ამ თანამშრომლობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კადრების მომზადებისა და საოპერაციო ტექნიკით უზრუნველყოფის საკითხებს ტექნიკური დახმარების მოზიდვის თვალსაზრისით. კერძოდ, 1998 წელს მსოფლიო ბანკის დახმარებით (გრანტი-80 ათასი აშშ დოლარი) საოპერაციო ტექნიკით (კომპიუტერები, ფაქსები, ქსეროქსები) აღჭურვა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ცენტრალური აპარატი და მისი ტერიტორიული სამსახურები.


ამავე პერიოდში, საქართველოში ჩატარებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული რამდენიმე სემინარი ანტიმონოპოლიური რეგულირების, კონკურენციული პოლიტიკისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე, მათ შორის:

– საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, სემინარი პარლამენტარებისა და ანტი-

ახალი ელენების

1. საერთაშორისო თანამშრომლობა და საქართველო 1992-2000, დახმარების მიმოხილვა, თბ., მარტი, 2000, გვ. 128.





მონოპოლიური ორგანოს თანამშრომლებსათვის, თბილისი, 1996 წლის ივლისი (30 მონაწილე);

- საქართველოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების სირთულეები და შესაძლებლობები, გუდაური, 1996 წლის 7-9 ნოემბერი (50 მონაწილე);

- ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენციის დაცვა, სემინარი ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთათვის, თბილისი, 1997 წელი (100 მონაწილე);

- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და პრაქტიკის საკითხები ანტიმონოპოლიური სამსახურის პერსონალისა და მოსამართლეებისათვის, თბილისი, 1997 წლის 13-17 ოქტომბერი (60 მონაწილე)

- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და პრაქტიკის საკითხები, სემინარი ანტიმონოპოლიური სამსახურის პერსონალისა და მოსამართლეებისათვის, თბილისი, 1997 წლის 8-12 დეკემბერი (60 მონაწილე)

ამასთან, 1998 წლის 13-15 მაის თბილისში გაეროს (UNCTAD) ვედიტა და დაფინანსებით ჩატარდა სემინარი კონკურენტული პოლიტიკისა და კანონმდებლობის საკითხებზე (30 მონაწილე); ასევე, თბილისში ჩატარდა ბიზნესის სამართლის ცენტრის ორგანიზებითა და ებერტის ფონდის დაფინანსებით სემინარი ანტიმონოპოლიური სამსახურის ტერიტორიული სამსახურების ხელმძღვანელ მუშაკთათვის.

TACIS-ის პროექტის პროგრამით საქართველოში მომხმარებელთა დაცვის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის მეწარმეებისათვის მოეწყო რამდენიმე საერთაშორისო სემინარი მომხმარებელთა დაცვის საკითხებზე - გუდაურში, 1998 წლის 24-26 მარტი (60 მონაწილე); თელავში, 1998 წლის ნოემბერი (30 მონაწილე); ქუთაისში, 1999 წლის მარტი (40 მონაწილე); ონში, 1999 წლის ივნისი (30 მონაწილე);

ილე)?

ამასთან, საქართველოს კონკურენციის ორგანოს თანამშრომლები სისტემატიურად (წელიწადში მინიმუმ 4-5 კაცი) მონაწილეობასღებულობდნენ ეკონომიკურია თანამშრომლებია და ურთიერთდამხმარების საბჭოს (OECD) მიერ მოწყობილ საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში, სტამბულში (წელიწადში ორჯერ), ვენასა და მოსკოვში (წელიწადში ერთხელ).

გარდა ამისა, აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ იქნა (1997 წლის სექტემბერი) 7 კაციანი დელეგაციის (სამი სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის, ერთი სახელმწიფო კანცელარიის, ერთი ეკონომიკის სამინისტროსა და ორი პარლამენტარის) საინფორმაციო ვიზიტი აშშ-ში, ხოლო გაეროს ეკონომიკური განვითარების ფონდმა (UNDP) 1995 წლის დეკემბერში დაფინანსა ანტიმონოპოლიური ორგანოს სამი წარმომადგენლის ვიზიტი აშშ-ში, მაკროეკონომიკის პოლიტიკის საკითხებზე სემინარის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ვეროვავთიათების (TACIS) დაფინანსებით 1997-1999 წლებში სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის შვიდი წარმომადგენელი მონაწილეობდა ბელგიის ქალაქ ლუვენსა და ნევეს კათოლიკური უნივერსიტეტის მოხმარების სამართლებრივი ცენტრის მიერ მომხმარებელთა დაცვის საკითხებზე მოწყობილ საზფხულო პროგრამის მუშაობაში, ხოლო ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა ბელგიის, საფრანგეთისა და ინგლისის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების პრაქტიკული გამოცდილების გასაცნობ ტურში.

ამვე ორგანიზაციის მიერ საქართველოსათვის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფარგლებში გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი ტექნიკური დახმარებები საკონკურენციო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებ-

3. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ბოლო ათწლეულში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია, 2002, გვ. 24-25 (სამსახურის საარქივო მასალა).  
4. საერთაშორისო თანამშრომლობა და საქართველო 1992-2000, დახმარების მობილიზაცია, თბ. მარტი, 2000, გვ. 47-48.


25667

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განყოფილება

2. ვ. მისურაძე, ქ. ლაფანი, ვ. გიგიაშვილი, ხ. ფეტელაია, ვ. მულაძე, კრებული საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის, თბ., საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრი, 1999, გვ. 34-36.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განყოფილება





ლო ბაზის სრულყოფისა და შესაბამისი სპეციალისტების მომზადების საქმეში. კერძოდ დაფინანსებულ იქნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე ექსპერტიზის პროექტი (1997 წელი), რომლის წარმატებით დასრულებისთანავე იგი გაგრძელებულ იქნა და გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ ანტიმონოპოლიური სამსახურსა და და ლუვენ ლა ნევას კათოლიკური უნივერსიტეტის მოხმარების სამართლებრივ ცენტრს შორის.<sup>5</sup>

ასევე TACIS-ის მიერ გაწეულ იქნა დახმარება ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების რესტრუქტურულიზაციის კუთხით (1997 წლის 1 ოქტომბერი-1998 წლის 15 თებერვალი). პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ბუნებრივი მონოპოლიების, კერძოდ, ტრანსპორტის (სარკინიგზო ხაზის მართვა) და კავშირგაბმულობის სფეროში რესტრუქტურულიზაციისა და სტრუქტურული რეორგანიზაციის პროექტის მომზადება.<sup>6</sup>

გარდა ამისა, საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში დადებული ხელშეკრულების (შეთანხმება, როემლიც დაიდო ათწლიანი ვადით მისი შემდგომი შესაძლო გაგრძელების პირობით, ძალაშია 1999 წლის 1 ივლისიდან) 44-ე მუხლის თანახმად საქართველოს საკონკურენციო სამართლის დებულებების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ფარგლებში ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (TACIS-GEPLAC) ექსპერტები აქტიურად იყვნენ ჩართული „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან პარამონიზაციის პროცესში.

ამ მმართველებით, „ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისა და რეფორმების ცენტრმა (CEPAR) ჩაატარა გამოყენებითი ეკონომიკური ანალიზი . . . აღნიშნული ცენტრის საქმიანობა, უპირატე-

სად და მკაცრად კონცენტრირებული იყო საქართველოსათვის ტექნიკური დახმარების გაწევაზე, რათა ქვეყანა გაწვევრებულიყო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვტო) და განეხორციელებინა კანონმდებლობის სამართლებრივი ექსპერტიზა . . .“<sup>5</sup>

თავის მხრივ, ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის მიერ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურთან თანამშრომლობით მომზადებული ცვლილებების პაკეტი მხარდაჭერილ იქნა კონრად ადენაურის ფონდის მიერ, რომლის ხელშეწყობით მოხდა კანონპროექტის პრეზენტაცია-დისკუსია ფართო საზოგადოების მონაწილეობით ქ. თბილისში სასტუმრო „თორი“-ში 2003 წლის 1 ივლისს.

გარდა ამისა, საკონკურენციო სამართლებრივი ნორმის შევსების მიზნით „საოროსი“ ფონდის დაფინანსებითა და საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მხარდაჭერით მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ (ბატონ შ. გოგიაშვილის ხელმძღვანელობით) 2003 წლის პირველ ნახევარში მომზადებულ იქნა ინსტრუქციის პროექტი (ნორმატიული აქტის პროექტი) „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ბარიერების (მონოპოლიური ფასების) გამოვლენა და აღკვეთა“.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის (კონკურენციის ორგანოს) მიერ გაწეული მუშაობა დადებითად იქნა შეფასებული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 1999 წლის ანგარიშში, რომელიც ეხება პოსკომუნისტურ ქვეყნებში კონკურენციის პოლიტიკის მიმდინარეობის საკითხებს, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო იმ უცხოელ ექსპერტთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა თანადგომით, რომელთა მხარდაჭერასაც მუდმივად გრძნობდა ანტიმონოპოლიური სამსახური მთელი ამ პერიოდის განმავლობაში.<sup>6</sup>

თავის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციას (2005 წლის 19 აგვისტო) ხელი არ შეუშლია

ეკონომიკური ანალიზი

5. იქვე გვ. 115-116.

6. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 1999 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, თბ., 2000, დანართი №1, გვ. 66-69.

7. C-ის მიერ ორგანიზებული სემინარის მასალები, თბ., 27 თებერვალი, 2006.





და არ შეუნელებია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ქვეყნის ახალი კონკურენციის ორგანოს „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო“ (შეიქმნა 2005 წლის 23 აგვისტოს) საქმიანობისადმი, რომლის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გასულ 2006 წელს აშერიკის განვითარების სააგენტოსა (ოქტომბერი) და პრიატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის (მარტი) მიერ დაფინანსებულ იქნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ოთხი თანამშრომლის მივლინება აშშ-ში კერძო სამართლის საზოგადოებრივ ინსტიტუტში (P3) კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე (კონკრეტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად).

ამასთან, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლები მისი ჩამოყალიბების პირველივე დღიდან (2005 წლის 23 აგვისტო) სისტემატიურად არიან ჩართულები და მონაწილეობას ღებულობენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საბჭოს (OECD) ვედიტ ორგანიზებულ სემინარებში. კერძოდ, 2006 წლის განმავლობაში სააგენტოს 5 წარმომადგენელი ღებულობდა მონაწილეობას კონკურენციის საკითხებზე ქ. ბუდაპეშტში მოწყობილ სამ ღონისძიებაში. ამასთან, სააგენტოს ერთი წარმომადგენელი მონაწილეობდა ამავე ორგანიზაციის მიერ მოწყობილ სემინარში ქ. ვენაში.

ასევე, საკონკურენციო სამართლისა და პოლი-

ტიკის რეფორმის საკითხების ევროკავშირის ნორმებთან მისადაგების დასაბუთების თაობაზე GEPLAC-ის მიერ ორგანიზებულ იქნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისათვის სემინარი ქ. თბილისში 2006 წლის 27 თებერვალს<sup>7</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ ქვეყნის კონკურენციის ძირითადი ორგანო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მუდმივად ღებულობდა და ღებულობს კონკრეტულ მიზნობრივ დახმარებებს, რაც მისასაღებელი და მხარდასაჭერია, რამეთუ ქვეყანაში სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის განვითარება შეუძლებლად მიგვაჩნია თანმიმდევრული და გარე სამყაროსთან შესატყვისი კონკურენციული პოლიტიკის გარეშე, რისი მიღწევა ანალოგიურ სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და განვითარებულ ქვეყნებში დავროვილი გამოცდილების გაანალიზების გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ქვეყნის კონკურენციის ორგანოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, საზოგადოების გათვითცნობიერებასთან ერთად (რასაც ძირითადად აფინანსებენ საერთაშორისო ორგანიზაციები) არის კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმების სრულყოფილებისა საწინდარი.

იტიმადიან თანაყ



არამატერიალური აქტივების აღრიცხვა



ელენე ხარაბაძე

იენე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის სრული პროფესორი, საქართველოს დამოუკიდებელ ბულალტერთა და აუდიტორთა კავშირის პრეზიდენტი

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „ახალი ეკონომისტი“ №1(2) 2007წ)

2. არამატერიალური აქტივების მოძრაობის აღრიცხვა

არამატერიალური აქტივების შექმნა კაპიტალური დაზღვრების განსაკუთრებული სახეს წარმოადგენს.

არამატერიალური აქტივების შექმნის ოპერაციების აღრიცხვა ძირითადი საშუალებების მიღების აღრიცხვის ანალოგიურია. მათი შექმნისას დებეტდება შესაბამისი არამატერიალური აქტივის ამსახველი ანგარიში, და კრედიტდება ფულადი ან გაცვლაში მონაწილე სხვა რომელიმე საშუალებების ამსახველი ანგარიში.

ბას-ის მიხედვით, არამატერიალური აქტივის აღიარება უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც:

მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის სასწარმოში შემოსვლა; ან

შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმომ გონიერულად და დასაბუთებულად უნდა შეაფასოს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსულის ალბათობა, აქტივის სასარგებლო მონბარების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივის საწყისი შეფასება თვითღირებულებით უნდა მოხდეს.

საწარმოში არამატერიალური აქტივის მიღების გზებით:

ცალკე შექმნა;

შექმნა, როგორც საწარმოთა გაერთიანების ნაწილი;

შექმნა სახელმწიფო გრანტის საშუალებით;

აქტივების გაცვლა;

საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივი.

საწარმოს მიერ არამატერიალური აქტივის ცალკე შესასყიდად გადახდილი ფასი ასახავს მის მოლოდინს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოღინების შესაძლებლობის შესახებ.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივის თვითღირებულება, ჩვეულებრივ, შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, განსაკუთრებით, თუ შესყიდვა ფულადი საშუალებების ან სხვა ფულადი აქტივების გადახდით ხდება.

არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს:

შესყიდვის ფასს, სხვადასხვა მოსაკრებლისა და არადაბრუნებადი გადასახადების ჩათვლით (შელავათებისა და ფასდაკლებების გამოკლებით);

აქტივის გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს.

ბას-ის მიხედვით, აქტივის გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს მიკუთვნება:

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების დანახარჯები;

პროფესიული დანახარჯები;

აქტივის შესაბამისი მუშაობის შემოწმების დანახარჯები.

არამატერიალური აქტივების თვითღირებულებაში არ შეიტანება:

ახალი პროდუქციის ან მომსახურების

ახალი ეკონომისტი





ათვისების დანახარჯები;

ახალ ადგილზე, ან კლიენტების ახალ ჯგუფთან ბიზნესის წარმოების დანახარჯები; ადმინისტრაციისა და სხვა ზედანდები ხარჯები.

ცალკე შექმნილი არამატერიალური აქტივები ბულალტრულ აღრიცხვაში აისახება გატარებით:

- დ-ტი - არამატერიალური აქტივები;
- კ-ტი - ფულადი საშუალებები;

შესაძლებელია არამატერიალური აქტივები შექმნილ იქნას გადახდის გადახდებით, ნორმალური საკრედიტო პირობებით. ამ შემთხვევაში ბასს 38-ის მიხედვით „მისი თვითღირებულება ფულად ფორმაში გამოხატული ფასის ექვივალენტურია. ამ თანხას და მილიან გადახდებს შორის სხვაობა აღიარდება როგორც საპროცენტო დანახარჯი, კრედიტის პერიოდის განმავლობაში, თუ იგი არ იქნება კაპიტალიზებული ბასს 23-ით, „სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები“ ნებადართული მეთოდის შესაბამისად“ (მ.32).

ბულალტრული გატარება:

1. სესხის პროცენტის კაპიტალიზაციის გარეშე:

- დ-ტი - არამატერიალური აქტივები;
- კ-ტი - ვალდებულებები მოწოდებით.

2. სესხის პროცენტის კაპიტალიზაციისას:

- დ-ტი - არამატერიალური აქტივები;
- კ-ტი - ვალდებულებები მოწოდებით;
- კ-ტი - გადასახდელი პროცენტები.

არამატერიალური აქტივების გამოყენებისას, ან მათი განმეორებით მოხმარებისას გაწეული შემთხვევითი დანახარჯები, როგორცაა მაგალითად, აქტივის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებული არააუცილებელი ხარჯები, არ შეიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში და მათი გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივების შექმნა, როგორც საწარმოთა გაერთიანების ნაწილი, დაკავშირებულია რა საწარმოთა გაერთიანებასთან, რეგულირდება ფასს 3-ით „საწარმოთა გაერთიანება“, რომლის მიხედვითაც 'თუ არამატერიალური აქტივი შექმნილია საწარმოთა გაერთიანების დროს, მაშინ ამ არამატერი-

ალური აქტივის თვითღირებულება შექმნის დროს არსებული მისი რეალური ღირებულება“. საწარმოთა გაერთიანების გზით მიღებულ არამატერიალური აქტივებს მიეძღვეს აღიარებს შექმნის დღეს, გუდვილისაგან განცალკევებით, თუ ამ აქტივის რეალური ღირებულება შესაძლებელია საიმედოდ განისაზღვროს, მიუხედავად იმისა, შექმნილ საწარმოს ეს აქტივი აღიარებული ჰქონდა თუ არა საწარმოთა გაერთიანებამდე. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს დაუმთავრებელი სამეცნიერო-კვლევისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა პროექტები.

საწარმოთა გაერთიანებისას შექმნილი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, თუ იგი წარმოქმნილია იურიდიული ან სხვა სახის სახელშეკრულებო უფლებით, არ არის განცალკევებადი, ან არ არსებობს მსგავსი აქტივების გაცვლის ოპერაციების გამოცდილება.

არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების განსაზღვრას უზრუნველყოფს აქტიურ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასები, ხოლო თუ არამატერიალური აქტივების აქტიური ბაზარი არ არსებობს, აქტივის თვითღირებულება იმ თანხით განისაზღვრება, რასაც საწარმო გადაიხდის აქტივის შესყიდვის დღეს, „გაშლილი ხელის მანქანის“ პრინციპით შესრულებული გარიგების შედეგად არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მსგავსი აქტივებისათვის ბოლო დროს შემდგარი გარიგების შედეგების გათვალისწინებით.

ბასს 38-ის მიხედვით „საწარმოთა გაერთიანების დროს შექმნილი არამატერიალური აქტივი შესაძლებელია განცალკევებადი იყოს, მაგრამ მხოლოდ შესაბამის მატერიალურ ან არამატერიალურ აქტივთან ერთად“ (მ. 36). მაგალითად, ბუნებრივი წყაროს წყლის საფაჭრო ნიშანი, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ წყაროსთან, უნდა გაიყიდოს ამ წყაროსთან ერთად. შესაბამისად, მიეძღვეს აღიარებს აქტივების ჯგუფს, როგორც ერთ აქტივს, გუდვილისაგან განცალკევებით, თუ ჯგუფში შემავალი ცალკეული აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

არამატერიალური აქტივების, როგორც საწარ-

საქართველოს აკრედიტებული





მოთა გაერთიანების ნაწილის შექმნა, ცალკე შექმნილი არამატერიალური აქტივების მსგავსად აისახება ბულალტრულ აღრიცხვაში გატარებით:

- დ-ტი - არამატერიალური აქტივები;
- კ-ტი - ფულადი საშუალებები; ან
- კ-ტი - ვალდებულებები მოწოდებით.

არამატერიალური აქტივების შექმნა სახელმწიფო გრანტის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს გადახდის გარეშე ან ნომინალური კომენსაკითი. ასეთი შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ საწარმოზე სხვადასხვა უფლებების გადაცემა, როგორცაა, მაგალითად, აეოპორტებში თვითმფრინავების დაჯდომის უფლება, სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის უფლება და სხვა. არამატერიალური აქტივების შექმნა სახელმწიფო გრანტის საშუალებით რეგულირდება ბასს 20-ის „სახელმწიფო გრანტების ბულალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით. უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივები ბულალტრულ აღრიცხვაში აისახება გატარებით:

- დ-ტი - არამატერიალური აქტივები;
- კ-ტი - რეზერვები და დაფინანსება.

არამატერიალური აქტივების მიღება შეიძლება მოხდეს აქტივების გაცვლის გზით. ბასს-ით ნებადართულია ერთი ან რამდენიმე არამატერიალური აქტივის არაფულად აქტივზე, ან ფულადი და არაფულადი აქტივების კომბინაციაზე გაცვლა. გაცვლისას არამატერიალური აქტივის თვითღირებულების შეფასება მოცემული აქტივის რეალური ღირებულებით ხდება, თუ ამას ხელს არ უშლის:

გაცვლის ოპერაციის კომერციული საფუძვლის არარსებობა;

ეუძღვებელია როგორც მიღებული, ისე გაცემული აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება.

აქტივების გაცვლის გზით მიღებული არამატერიალური აქტივები ბულალტრულ აღრიცხვაში აისახება შემდეგნაირად:

1. ერთი არამატერიალური აქტივის გაცვლა მეორეზე. ამ შემთხვევაში მიღებული არამატერიალური აქტივი აისახება მისი რე-

ალური ღირებულებით, ხოლო მასზედ გაცვლილი არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გათვალისწინებით:

- დ-ტი - არამატერიალური აქტივები (მიღებული);
- დ-ტი - არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გასულის);

კ-ტი - არამატერიალური აქტივები (გასული);

2. არამატერიალური აქტივის მიღება სხვა არაფულად აქტივზე გაცვლით:

- დ-ტი - არამატერიალური აქტივები;
- დ-ტი - ძირითადი საშუალებების ცვეთა;
- კ-ტი - ძირითადი საშუალებები.

3. არამატერიალური აქტივის მიღება ფულადი და არაფულადი აქტივების კომბინაციაზე გაცვლით:

- დ-ტი - არამატერიალური აქტივები;
- დ-ტი - ძირითადი საშუალებების ცვეთა;
- დ-ტი - ფულადი საშუალებები; ან
- კ-ტი - ფულადი საშუალებები;
- კ-ტი - ძირითადი საშუალებები.

არამატერიალური აქტივის მიღება საწარმოში წარმოქმნის გზით. საწარმოში შესაძლებელია წარმოქმნას არამატერიალური აქტივი, რომელიც ჩვეულებრივ, უნდა აკმაყოფილებდეს მისი აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. ამ მიზნით უნდა მოხდეს აქტივის წარმოქმნის პროცესის კლასიფიკაცია. ბასს-ის მიხედვით ამგვარი კლასიფიცირება ხდება:

სამეცნიერო-კვლევითი საშუალების ფაზად; საცდელ-საკონსტრუქტორო საშუალების ფაზად.

თუ საწარმო ვერ ახერხებს ამ ფაზების ერთმანეთისაგან გამიჯვნას, მასზე გაწეულ დანახარჯებს სამეცნიერო-კვლევითი საშუალების ფაზას მიაკუთვნებს.

სამეცნიერო-კვლევით საშუალებებს მიეკუთვნება:

ახალი ცოდნის მიღებისათვის წარმართული საჭიანობა;

ამეცნიერო აღმოჩენების ან სხვა ცოდნის გამოყენების საშუალების ძიება, შეფასება და აბოლოო შერჩევა;

მასალების, მოწყობილობების, საქონლის, პრო-

ბუღალტრული აღრიცხვა





ცესების, სისტემის ან მომსახურების ალტერნატივების ძიება;

ახალი ან გაუმჯობესებული მასალების, მოწყობილობების, საქონლის, პროცესების, სისტემის ან მომსახურების შესაძლო ალტერნატივების ფორმულირება, დიზაინი, შეფასება და საბოლოო შერჩევა.

სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები, დაკავშირებულია რა ახალი სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნის შეძენის მიზნით წინასწარ დაგეგმილ კვლევა-ძიებასთან, მათი გაწევისთანავე აისახება მიმდინარე პერიოდის დანახარჯებში, არ ხდება მისი კაპიტალიზაცია და მამასადამე, არ წარმოადგენს არამატერიალურ აქტივს. „სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი არც ერთი არამატერიალური აქტივის აღიარება არ უნდა მოხდეს. სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების აღიარება ხარჯის სახით უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც გაწეულ იქნება დანახარჯი“ (ბასს 38, მ. 54).

რაც შეეხება საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯებს, „არამატერიალური აქტივი, რომელიც წარმოიქმნება საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგად, უნდა აღიარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოს შეუძლია აჩვენოს:

ტექნიკურად განხორციელებადია არამატერიალური აქტივის დასრულება ისე, რომ რომ მისი გამოყენება ან გაყიდვა გახდეს შესაძლებელი;

არამატერიალური აქტივის დასრულებისა და გამოყენების ან მისი გაყიდვის განზრახვა; არამატერიალური აქტივის გამოყენების ან გაყიდვის უნარი;

თუ როგორ წარმოქმნის არამატერიალური აქტივი მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ამასთან, საწარმოში უნდა აჩვენოს არამატერიალური აქტივის გამოყენების შედეგების ან თვით არამატერიალური აქტივის ბაზრის არსებობა, ან თუ მისი საწარმოში გამოყენება განზრახული არამატერიალური აქტივის სარგებლიანობა;

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დასრულებისა და არამატერიალური აქტივის გამოყენების ან გაყიდვისთვის საჭირო ადეკვატური ტექნიკური, ფინანსური და სხვა რესურსების არსებობა;

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმდინარეობისას გაწეული, არამატერიალურ აქტივზე მიკუთვნებადი, დანახარჯების საიმედოდ შეფასების უნარი.

ბასს-38-ის მიხედვით, საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს ყველა დანახარჯს, რომლებიც შეიძლება პირდაპირ იქნას მიკუთვნებული ან გონიერულ და დასაბუთებულ საფუძველზე განაწილებული, აქტივის შექმნაზე, წარმოებასა და გამოზრული გამოყენებისათვის მომზადებაზე. თვითღირებულება, თუ ეს მოზანშეწონილია, მოიცავს: არამატერიალური აქტივის შესაქმნელად გამოყენებულ ან მოხმარებულ მასალებსა და მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს;

აქტივის შექმნაში უშუალოდ დაკავებული პერსონალის ხელფასებს, გასამრჯელოებს და მათ დასაქმებასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს; მოსაკრებელს იურიდიული უფლების რეგისტრაციაზე;

აქტივის შესაქმნელად გამოყენებული ლიცენზიების ან პატენტების ამორტიზაციას.

საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულების კომპონენტებს არ წარმოადგენს:

გაყიდვის, ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნაღები ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია ამ დანახარჯების პირდაპირ მიკუთვნება აქტივის გამოყენებისათვის მომზადებაზე;

ნათლად გამოკვეთილი არაეფექტურობა და საწყისი საოპერაციო დანაკარგები, რასაც ადგილი აქვს აქტივის გვერდითი მაჩვენებლების მიღწევამდე;


აღნიშნული აქტივის საექსპლუატაციოდ პერსონალის მომზადებაზე გაწეული დანახარჯები.

აქედან გამომდინარე, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დანახარჯები აისახება არამატერიალური აქტივის ანგარიშის დებეტში, შესაბამისი დანახარჯების ან ვალდებულებების ამსახველი ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით.

რაც შეეხება საწარმოში წარმოქმნილ სასაქონლო ნიშნებს, ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებას და სხვა ანალოგურს, ბასს-ის მიხედვით იგი არ

ბუნალტრული აღრიცხვა





უნდა აღიარდეს არამატერიალური აქტივების სახით.

საწარმოდან არამატერიალური აქტივების გასვლა შეიძლება გამოიწვევოს იყოს მისი გაყიდვით, ან მისგან ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობის ამოწურვით. ბასს-ის მიხედვით, არამატერიალური აქტივის აღიარება უნდა შეწყდეს:

მისი გასვლისას; ან

როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შედეგად.

არამატერიალური აქტივების გასვლა შეიძლება გამოიწვევოს იყოს მისი გაყიდვით, ფინანსური იჯარით, უსასყიდლოდ გადაცემით.

„არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად“ (ბასს 38, მ.113).

გასვლა შეიძლება გამოიწვევოს იყოს მისი გაყიდვით, ფინანსური იჯარით, ან უსასყიდლოდ გადაცემით. არამატერიალური აქტივების გაყიდვა ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გატარებით:

დ-ტი ფულადი საშუალებები (გაყიდვის ღირებულებით);

დ-ტი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (დაგროვილი თანხით);

კ-ტი არამატერიალური აქტივები (პირვანდელი ღირებულებით).

კ-ტი არასაოპერაციო მოგება ან პირიქით,

დ-ტი არასაოპერაციო ზარალი.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმო იყენებს არამატერიალური აქტივების გადაფასების რეზერვს და არამატერიალური აქტივების გასვლის თარიღისათვის მას გააჩნია ნაშთი, იგი უნდა გაუქმდეს და გადატანილ იქნას მოგების ანგარიშზე:

დ-ტი არამატერიალური აქტივები;

კ-ტი არასაოპერაციო მოგება; ან

კ-ტი გაუნაწილებელი მოგება.

აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის ამოწურვამდე გასული არამატერიალური აქტივების ჩამოწერა გატარდება:

დ-ტი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (დაგროვილი თანხით);

დ-ტი არასაოპერაციო ზარალი (სხვაობის თანხით);

კ-ტი არამატერიალური აქტივები (პირვანდელი ღირებულებით).

ბუღალტრული აღრიცხვა





ინოვაციური საქმიანობის ინსტიტუციონალური საფუძვლები

თამაზ ვაშაკიძე

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ინოვაციური ცენტრის ხელმძღვანელი, მცირე მეწარმეთა კლუბის მენეჯერი

ინოვაციური საქმიანობის ინსტიტუციონალური საფუძვლები

XXI საუკუნეში ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკვანძო პირობას ეფექტიანი ინოვაციური პოლიტიკა წარმოადგენს. ასე, მაგალითად, განვითარებული ქვეყნების მშპ-ს ზრდის 75-100% ინოვაციების დანერგვის ხარჯზე ხდება, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ინოვაციური პროცესების სწრაფი ჩამოყალიბება და მათი სრულმასშტაბიანი აქტივაცია, თვალმისაწვდომ პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს.

ინოვაცია ფართო ცნებაში როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ სფეროებში წარმატებული წარმოების, სიახლეების დანერგვის და მათი რენტაბელური გამოყენების სინონიმს წარმოადგენს. რასაკვირველია, ტექნოლოგიური ფაქტორი საკვანძოა, თუმცა არავითარ შემთხვევაში ერთადერთ ფაქტორს არ წარმოადგენს.

მსოფლიოს ბევრი ქვეყანის დინამიური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მათი ტექნოლოგიური "გარღვევა", მთლიანად ეყრდნობა ინოვაციებს და აქედან გამომდინარე ინოვაციებმა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი როლი შეიძინეს.

ინოვაციური პროცესების მნიშვნელობის გათავისებამ სამეცნიერო კვლევებს მძლავრი იმპულსი მისცა, რამაც თავის მხრივ ინოვაციური სისტემების კონცეფციის ჩამოყალიბება გამოიწვია, რომლის ავტორებად მიჩნეულნი არიან მსოფლიოში განთქმული მეცნიერები კ. ფრემენი, ბ. დუნდვალდი და რ. ნელსონი.

ვინაიდან საქართველოში ინოვაციური პროცესების განვითარება ემბრიონალურ დონეზეა, განსაკუთრებულ ყურადღებას კრის ფრიმენის ნამუშევრებს მივაპყრობ,

ვინაიდან ისინი ინოვაციების ინსტიტუციონალურ ასპექტზეა ორიენტირებული. ამ ავტორის ხედავაში ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ინოვაციური სისტემა, როგორც გარკვეული ინსტიტუტების კომპლექსია წარმოადგენილი, რომელთა ფუნქციონირება ტექნოლოგიების და მათი დიფუზიის ინიცირებას ახდენს, ქმნის მათ და ტრანსფორმირებას უკეთებს.


ეკრძოდ, კრის ფრიმენი ინსტიტუციონალური ფაქტორის განსაკუთრებულ როლს ასაბუთებს, როგორც მოქმედებათა ისეთი თანმიმდევრობა, რომლის მეშვეობით ორგანიზაცია ფუნქციონირებს და მართავს არსებულ რესურსებს. ასეთი მიდგომა გაიგივებულია როგორც ცალკეული ფირმის, ასევე ეროვნულ დონეზეც.

ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით შარდინგის ეთქვით, რომ ტექნოლოგიური პერადიგმის პოტენციალის გახსნას ხელს უწყობს ორგანიზაციული სტრუქტურების ზოგადი სისტემა, რომელიც ინოვაციების შექმნასა და გამოყენებაში ეკონომიკური ავტენტების ჩაბმას ახორციელებს. ეს სისტემა ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკურ სისტემას და თვითონვე წარმოადგენს საკვანძო ინსტიტუციონალურ ინოვაციას, რომელსაც ეროვნული ინოვაციური სისტემა ეწოდება.

ტერმინმა „ეროვნული ინოვაციური სისტემა“ გამოქვეყნებისთანავე კპოვა ფართო აღიარება და რამდენიმე სერიოზული ავტორის ყურადღება მიიპყრო, მათ შორის ბ. დუნდვალის, რომელმაც თავის ნაშრომებში შემდეგი დასკვნა გააკეთა:

ცოდნა თანამედროვე ეკონომიკის საკვანძო რესურსს წარმოადგენს. შესაბამისად, სწავლებების პროცესი ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ვინაიდან უშუალოდ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის დამკვიდრებას, ხოლო ძველის - სწორ აღქმას და გააზრებას. აქვე დავებნთ, რომ ცოდნა რადიკალურად





ახალი უსაზღვრო

განსხვავდება სხვა ეკონომიკური რესურსებისგან და ამიტომ შეიძლება ტრადიციულ ეკონომიკურ ანალიზს არ დაექვემდებაროს.

მეორეს მხრივ, ცოდნის შექმნა წარმოადგენს სოციალურად შეპირობებულ პროცესს, რომლის გააზრება ინსტიტუციონალური და კულტურული კონტექსტების გარეშე შეუძლებელია. ასეთ შეხედულებას ბ. ამაბლი, რ. ბარარე და რ. ბუაე განაერთობენ ნაშრომში „ინოვაციური სისტემები გლობალიზაციის ერაში“, სადაც აღნიშნავენ, რომ ინოვაციური პროცესების სპეციფიკას განაპირობებს ქვეყნის სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემების სპეციფიკა, ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი პოლიტიკა და ინოვაციური პროცესების მონაწილეთა ურთიერთობების ფორმები. აქედან გამომდინარე, ცალკეული ქვეყნის ინსტიტუციონალური მატრიცა განაპირობებს მისი ეროვნული ინოვაციური სისტემის თავისებურებებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ავტორების საბოლოო დასკვნა, რომელიც გეთვალვინება ახალი კატეგორიის შემოღებას - „ინოვაციების სოციალური სისტემა“. ჩვენი აზრით, ეს კატეგორია ნათლად გვიჩვენებს ეროვნული ინოვაციური სისტემის მოდელის აქცენტირებულ დამოკიდებულებას სახოლადობის ინსტიტუციონალური მატრიცისაგან.

საქართველო იძულებულია მიიღოს ინოვაციური გამოწვევა. ქვეყნის სამრეწველო-საწარმო და შესაბამისად ეკონომიკური მოქმედების მკვეთრი შემცირება კომპენსირებულ უნდა იქნეს მოწინავე სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური დონით, რისთვისაც აუცილებელია ინოვაციური აქტივობის სწრაფი ზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში თავისი განვითარების გზაზე ქვეყანა ვერასოდეს ვერ მიუახლოვდება განვითარებული ქვეყნების არსებულ კრიტერიუმებს.

მსოფლიოში მეცნიერებატექნოლოგიური პროდუქტის გამოშვებას უზრუნველყოფს სულ რაღაც 50-55 მაკროტექნოლოგია. შეიძლება ყველაზე განვითარებული ქვეყანა ფლობს 46 მაკროტექნოლოგიას და მსოფლიო ბაზრის 80% იკავებს. ამასთან, აშშ მეცნიერებატექნოლოგიური პროდუქტისაგან ყოველწლიურად 900, გერმანია - 730, იაპონია - 600 მლრდ დოლარს იღებს.

განვითარებულ ქვეყნებს იმიტომაც უწოდებთ „განვითარებულს“, რომ მათ შეძლეს შეემუშავებინათ სხვადასხვაგვარი

უფექტიანი ინოვაციური ადმინისტრაციული და ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც დაფუძნებულია სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის იმ სახეებზე, რომლებიც საკვანძო როლს წარმოადგენენ ქვეყნის განვითარების გარკვეულ ეტაპზე კერძოდ:

ხელისუფლების მხრიდან ინოვაციური პროცესების განსაკუთრებით ქმედითი და ამასთან საკანონმდებლო ბაზით განმტკიცებული მზარდაჭერა;

ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერის ზომების ავტომატური ჩართვა სახელმწიფო ჩინოვნიკების ნების მეშვეობით ავლთ.

აქვე დავძენთ, რომ ეკონომიკური რეგულირების პირდაპირ მეთოდებს მიეკუთვნება, აგრეთვე სახელმწიფო ინვესტირება (მიზნობრივი, საგნობრივ-ორიენტირებული, პრობლემაზე მიმართული) დაფინანსების სახით, დაკრედიტება, ლიზინგი, საფინანსო ოპერაციები და ა.შ. ინოვაციური საქმიანობის რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებს მიეკუთვნება პირველ რიგში, ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების სოციალურ-პოლიტიკური კლიმატის შექმნა.

უმთავრესი ადგილი საგადასახადო შეღავათებს უჭირავს, რომელთაგანაც ხუთ ძირითადს გამოყოფდით: შეღავათები სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის აუცილებელ მშენებლობაზე და ახალ მოწყობილობაზე გაწეული კაპიტალდაბანდებების გადასახადებიდან; სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-სამრეწველო სამუშაოებზე დახარჯული თანხების გადასახადების შეღავათები; სამეცნიერო-კვლევითი მოწყობილობის ხარჯების მიკუთვნება მიმდინარე ხარჯებზე; მოგების ფონდის ხარჯზე სოციალური დანიშნულების ფონდების შექმნა, რომლებიც არ იბეგრება; მცირე ინოვაციური საწარმოების მოგების გადასახადისგან განთავისუფლება ან შემცირებული განაკვეთით დაბეგრვა.

საგადასახადო შეღავათი ახალი ტექნიკის ღირებულებიდან იაპონიაში შეადგენს საშუალოდ 6%; 50% - დიდ ბრიტანეთში (ახალი ტექნიკის პირველი წლის ექსპლუატაციის განმავლობაში); 15% - კანადაში (იმის მიხედვით, ათვისებულ თუ ათვისებულ რაიონში დაინერგა სიახლე).





აღვნიშნავთ, რომ საგადასახადო შეღავათი ორი სახის არსებობს: მოცულობითი და ნაზარდი. მაგალითად, მოცულობითი შეღავათი ვრცელდება სამეცნიერო სამუშაოების მთლიანი დანახარჯის გადასახადების 100% და ეს თანხა კომპანიების შემოსავლების მთლიან გადასახადს აკლდება. ეს შეღავათი გავრცელდება აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ბელგიაში, შვეიციაში, იტალიაში. ავსტრალიაში კერძო კომპანიებისათვის, ეს შეღავათი 150%-დე არის აწეული.

ნაზარდი შეღავათები გამომდინარეობს კომპანიის მიერ კვლევით სამუშაოებზე დაგეგმილზე მეტად გაწეულ ხარჯებზე. ასე, მაგალითად, საფრანგეთში მაქსიმალური ნაზარდი შეღავათი - 50%-ს შეადგენს.

უაროდ გამოიყენება აქტირებული ამორტიზაციის მეთოდები. მაგ. აშშ-ში იმ მანქანა-დანადგარებისთვის, რომლებიც გამოიყენება კვლევითი სამუშაოებისთვის დაწესებულია ხუთ წლიანი ამორტიზაციის ვადა.

ინოვაციური საქმიანობის აქტივაციის მიზნით განვითარებულ სახელმწიფოებში კადრების მომზადებასაც უწევენ სტიმულირებას. ასე მაგალითად, საფრანგეთში კადრების მომზადებაზე გაწეული ხარჯების 25% თავისუფლდება გადასახადებისგან.

დიდ ბრიტანეთში ახლად შექმნილი საინოვაციო კომპანიების მოგების გადასახადი ოცი პროცენტრიდან, შემცირებულია ერთ პროცენტამდე.

კომუნიტური წყობიდან პირდაპირ ნეოლიბერალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის მომხრეების საყურადღებოდ მინდა მოვიყვანო მაგალითი რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდრიდან, როდესაც 1987 წ. აშშ-ს ადმინისტრაციამ 100%-ანი გადასახადი დააწესა ამერიკის ბაზარზე შემოტანილ იაპონურ ელექტრონულ ტექნიკაზე. ამ ნაბიჯმა ადგილობრივი ინოვაციების დანერგვა 16%-ით გაზარდა, რომელიც შექმდებოდა ისევე იაპონელებმა გაცილებით მაღალ ფასებში შესიყიდეს. როგორც ვხედავთ, ინოვაციური პროცესების სტიმულირებისათვის სხვადასხვა სახის უამრავი მიდგომა არსებობს და მათი შერჩევა იმ ინდიკატორებზეა დამოკიდებული, რომლებიც კვლევის საფუძველზე გამოვლენილი არიან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე.

აქვე აღვნიშნავთ რუსი მეცნიერების ე.წ. ნაზარდების და ე.წ. ფედერაციის დამოკვლევებს, რომლებმაც თვალნათლივ დაგვიჩვენეს, რომ აშშ-ში, გასული საუკუნის 50-80-იან წლებში სახელმწიფოს და კერძო კაპიტალს შორის არსებული ინოვაციური საქმიანობის უზრუნველყოფის ფუნქციების გამიჯვნა, ე.წ. ფუნქციონალური დასუბსტირების გაყოფაზე ისტორიას ჩაბარდა. თანამედროვე ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს სახელმწიფოს და კერძო სექტორის ინტეგრაცია, განსაკუთრებით უახლესი სამოქალაქო ტექნიკის და ტექნოლოგიების შექმნის პროცესებში, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებულად კონკურენტუნარიანებდა ითვლებიან.

ნახს გაეუსხამთ ასევე ძალზე გავრცელებულ მიდგომას, რომელიც ინოვაციური სისტემის სტრუქტურირებისას გამოიყენება და ინოვაციურ პროცესში, მათი ფუნქციების მიხედვით, სხვადასხვა ელემენტებიდან ჯგუფდება. ასეთი მიდგომისას ინოვაციურ სისტემას წარმოების, კომერციალიზაციის და ახალი ცოდნის გამოყენების ბლოკები შეადგენს.

1984 წლიდან ევროკავშირში მოქმედებს ჩარხო-პროგრამები, რომლებიც სამეცნიერო კვლევების და ინოვაციების ფინანსირების მხრივ ევროკავშირის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენენ. განვიღო პერიოდში მიღებულმა გამოცდილებამ საშუალება მისცა პროგრამის შექმნელებს, ოთხი ძირითადი კომპონენტის გამოყოფისა, რომლებითაც იხელმძღვანელებს მეშვიდე ჩარხო-პროგრამის (2007-2013 წლებში) შექმნისას: 1. თანამშრომლობა (ერთობლივი კვლევები და მათი კოორდინაცია); 2. იდეები (ევროპის სამეცნიერო პოტენციალის მიკეთრი გაზრდა); 3. ადამიანები (ადამიანური პოტენციალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაზრდა); 4. ინტელექტუალური მიდგომა (მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოების მხარდაჭერა).

უშიშვენლოვანეს კომპონენტად მიგვანია ამ პროგრამების დაფინანსება: თუ მეექვსე ჩარხო-პროგრამაზე (2002-2006 წლები) გამოყოფილი იყო 17 მლრდ ევროზე მეტი, მეშვიდე ჩარხო-პროგრამაზე (2007-2013) გამოყოფილია 72 მლრდ ევრო, რაც იმაზე მეტყველებს, თუ როგორ ღრმად და გააზრებულად ესმით ასეთი პროგრამების მნიშვნელობა მათ ავტორებს.

ინოვაციური საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით



სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის საბაზრო ლიანდაგზე გადასვლის თანმდევი გახდა ეკონომიკის ყველა დარგში მდგომარეობის გაუარესება და ზოგიერთი დარგის განადგურება. კაპიტალდაბანდებების მოცულობის რაოდენობამ 85-90% მოიკლო. ასეთ პერიოდში რაიმე ინოვაციური პროცესების გატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ის თანხები, რომლებიც ირიცხებოდა და ირიცხება მეცნიერების განვითარებაზე, უფრო მოწყალეებას წააგავს. ამ თანხებით განვითარება არ შეიძლება, შესაბამისად ქვეყანაში მეცნიერების დონე გამუდმებით ქვევით იწვევს, იკარგება კადრები. სახელმწიფოს არ გააჩნია კანონი ინოვაციური საქმიანობის და სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის შესახებ. არსებული კანონების მოხვედებითი სიმრავლე: „სააგტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, „საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო დონისძიებათა შესახებ“, კანონი „საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ პრაქტიკულად ლოკალურ, ფრაგმენტულ ხასიათს ატარებენ. პუნქტობრივად ძალზე სუსტი კავშირები გააჩნიათ. ცალკეული ნორმები პრაქტიკულად არაფრისმთქმელია, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების არავითარ სტიმულირებას არ ახდენენ და არ შესაბამებიან თანამედროვე მოთხოვნებს. არც ერთ სტატისტიკურ კრებულში, რომლებიც

საქართველოში მეწარმეობის მდგომარეობას ასახავენ, არ არის მოცემული საინოვაციო საწარმოების არც ერთი მონაცემი. ინოვაციური საქმიანობის ექნურულ დაფინანსებზე საინვესტიციო სააგენტოდან არავითარი ინფორმაცია არ არსებობს.

საქართველოში ინოვაციური საქმიანობის დასაწყებად და ინოვაციური სისტემის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია მისი რეალურად მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა. ასეთ სამართლებრივ აქტებში აუცილებლად არის გამოსაყენებელი თანამედროვე დასავლური გამოცდილება - შევისწავლოთ და ფართოდ გამოვიყენოთ ინოვაციების მხარდამჭერი აპრობირებული სქემები და განვითარების ხერხები. საერთაშორისო სამართლის და ადგილობრივი კანონმდებლობის შეხამებით საქართველო უნდა ჩაერთოს ინოვაციური საქმიანობის საერთაშორისო სისტემაში, როგორც მისი ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი.

საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ





დასმულ კითხვებზე პასუხობს  
ჩვენი ჟურნალის ექსპერტი,  
საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის  
აპარატის უფროსი -  
**თიიხუკაზ კოხალაიშვილი**

### პიიხვა

1. „ა“ ფირმამ შემოიტანა, პირობითად, 100 ლარის ღირებულების საქონელი. მან გადაიხადა დღგ 18 ლარი. გაყიდა აღნიშნული საქონელი 200 ლარად „ბ“ ფირმაზე. გთხოვთ, ამ კონკრეტულ მაგალითზე გეიხვენოთ, როგორ მოხდება ერთხელ გადახდილი დღგ-ს ჩათვლა ან უკან დაბრუნება?

### კასუხი

ამ ფირმას 200 ლარად რეალიზებულ საქონელზე გადასახდელი აქვს დღგ 30 ლარი და 51 თეთრი (თუ 200 ლარი მოიცავს დღგ-საც), რაც შეადგენს დღგ-ს გარეშე საქონლის სარეალიზაციო ფასის (169,49 ლარის) 18%-ს. ვინაიდან ფირმას უკვე გადახდილი აქვს 18 ლარი, მას გადასახდელი ექნება 12,51 ლარი, ანუ ის ჩაითვლის საქონლის იმპორტისას გადახდილ დღგ-ს 18 ლარის ოდენობით. თუ აღნიშნული საქონლის უშუალოდ რეალიზაცია დროში ძალიან ჭიანჭურდება ან თუ ეს საქონელი გამოიყენება ნედლეულად სხვა საქონლის წარმოებისათვის და ტექნოლოგიური პროცესი დიდ დროს მოითხოვს (ანუ ფირმას არ აქვს საშუალება ჩაითვალოს გადახდილი დღგ) ფირმას აქვს უფლება მოითხოვოს იმპორტისას გადახდილი დღგ-ს უკან დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში მას დაუბრუნდება ეს თანხა 6 თვის განმავლობაში.

ამავე დროს გასათვალისწინებელია შემდეგი: პირს გადახდილი დღგ-ს ჩათვლის ან დაბრუნების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად, აგრეთვე თუ ის იყენებს ამ საქონელს ეკონომიკური საქმიანობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პირი ვერც ჩაითვლის და ვერც დაბრუნებს გადახდილ დღგ-ს.

### პიიხვა

2. იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ვალდებული არ არის რეგისტრაციაში გატარდეს დღგ-ს გადამხდელად, რა შემთხვევაში და პირობებში გაუნდება სურვილი ან მოთხოვნა დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად?

### კასუხი

ასეთი სურვილის მოტივაცია შეიძლება იყოს გადახდილი დღგ-ს ჩათვლის ან უკან დაბრუნების უფლების მიღება. პირს ასეთი სურვილი შეიძლება გაუნდეს უმთავრესად იმ შემთხვევაში თუ ის ახორციელებს ძვირადღირებული ძირითადი საშუალებების შეძენას და ვერ ითვლის ან ვერ იბრუნებს მათზე გადახდილ დღგ-ს. დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაცია ამ პირს

სხამო უაღრესი



მისცემს ასეთი ჩათვლების (ან დაბრუნების) უფლებას. პირი ასეთ შემთხვევაში პრაქტიკულად გადაავადებს დღგ-ს თანხის გადახდას მის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციამდე, რითაც უფრო ეფექტიაქნად გამოიყენებს საკუთარ თუ მოზიდულ საბრუნავ სახსრებს.

## კითხვა

4. მეწარმემ შემოიტანა იმპორტული საქონელი, პირობითად 100 ცალი, თუ ის სხვა ფორმას მიაწოდებს (მიყიდის) 50 ცალს, საბაჟოზე გადახდილი დღგ-ს ჩათვლა ან დაბრუნება მოხდება იმ ნაწილზე (50 ცალზე), რომელიც მიეწოდა მიყიდველს?

## პასუხი

დღგ-ს ჩასათვლელი თანხა პრაქტიკულად არის უკვე გადახდილი გადასახადის თანხა, რომლის გადახდაც დადასტურებულია ანგარიშ-შეაქტურებით ან საბაჟო დეკლარაციებით. ამასთან ის არ არის უშუალოდ დაკავშირებული კონკრეტულ საქონელთან, მითუმეტეს მის რაოდენობრივ მანევრებლებთან. შესაძლებელია ერთი სახის საქონლის იმპორტისას გადახდილი დღგ ჩაითვალოს სულ სხვა საქონ-

ლის იმპორტისას გადასახდელ დღგ-ში. აქ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გადახდილ და გადასახდელ თანხებს შორის სხვაობას. გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც – ჩათვლას ექვემდებარება მხოლოდ იმ საქონელზე გადახდილი დღგ, რომელიც გამოყენებულია ან იქნება გამოყენებული პირის ეკონომიკურ საქმიანობაში.

## კითხვა

3. გთხოვთ განგვიანარტოთ, დღგ-ს გადამხდელი იმპორტიორის მიერ განხორციელებული საქონლის მიწოდება დაიბეგრება რა დღგ-თი, რა შემთხვევაში არ გააუნდება სურვილი ჩაითვალოს ან დაიბრუნოს ამ საქონლის იმპორტის დროს საბაჟოზე გადახდილი დღგ?

## პასუხი

ასეთ ფაქტს ალბათ ადგილი არ ექნება. თუ პირი არ ჩაითვლის და არც დაიბრუნებს უკვე გადახდილ დღგ-ს, ის ვალდებული იქნება მეორედ გადაიხადოს იგივე გადასახადი, რაც მის ინტერესში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს.

საქართველოს ეროვნული ანგარიშ-შეაქტურების ცენტრი





### საქართველოს კანონი

საქართველოს საბაზასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მიღებულია - 29.12.2006 წ. ქალაქშია - 01.01.2007 წ. 31.01.2007 წ. - მდგომარეობით

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 200) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის მე-6 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ზ" ქვეპუნქტი:

"ზ) "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა."

2. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების მიზნით გამოცემს ბრძანებებს, შიდა ინსტრუქციებს და მეთოდურ მითითებებს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით. საგადასახადო ორგანოები საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში ხელშეწყვენილობენ ასეთი ბრძანებებით, შიდა ინსტრუქციებითა და მეთოდური მითითებებით."

3. მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი გადასახადის შემოღების, გადახდის პირობების შეცვლის ან შემოღებული ადგილობრივი გადასახადის გაუქმების შესახებ ინფორმაცია და სათანადო ნორმატიული აქტის ასლი მისი გამოქვეყნებისთანავე გაუკზავნონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და შესაბამის საგადასახადო ორგანოებს."

4. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1' და 1'' ნაწილები:

"1. საგადასახადო ორგანო - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, მისი სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული ორგანო, ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურული ერთეული ან სხვა ქვედანაყოფი, რომლის ფუნქციაცაა გადასახადების ადმინისტრირება. ამასთანავე, აღნიშნული ორგანოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოდ აგრეთვე ჩაითვლება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შედეგად შექმნილი ნებისმიერი დაწესებულება, ამ დაწესებულების ტერიტორიული ორგანო ან სხვა ქვედანაყოფი, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, შეასრულოს საგადასახადო ორგანოს ფუნქციები.

1. შემოსავლების სამსახური - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ან შემოსავლების სამსახურის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შედეგად შექმნილი ნებისმიერი დაწესებულება, რომელსაც მიენიჭება უფლებამოსილება, შეასრულოს შემოსავლების სამსახურის ამ კოდექსით გათვალისწინებული ფუნქციები."


5. 49-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს საგადასახადო ორგანოების ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა შედგება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისაგან, ტერიტორიული ორგანოები-

საქართველოს სიხლენი





სა და განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფისაგან (ასეთი ქვედანაყოფის შექმნის შემთხვევაში).";

ბ) მე-3 და მე-4 ნაწილები ამოღებულ იქნეს.

6. 53-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 53. უფლებამოსილების დელეგირება

საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს კერძალბა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისთვის დაკისრებული ვალდებულების ან მინიჭებული უფლებამოსილების სხვა თანამშრომლისათვის გადაცემა".

7. 54-ე-56-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

8. 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშიდან საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე ჩასარიცხი თანხის პროცენტი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ეს პროცენტი იმდენი უნდა იყოს, რამ უზრუნველყოფილ იქნეს ზედმეტად გადახდილი თანხების სრულად დაბრუნება ამ კოდექსით დადგენილ ვადაში".

9. 77-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსს, თუ გადასავადებელი თანხა 50 000 ლარზე მეტია და არ აღემატება 250 000 ლარს, ხოლო გადავადების პერიოდი არ აღემატება 6 თვეს".

10. 82-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა "საგადასახადო მოთხოვნა" უნდა შეასრულოს მისი მიღებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში, თუ ამ კოდექსით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ვადაში გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ:

ა) დარიცხული თანხის გადაუხდელობისა და ამ კოდექსის 147-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საჩივრის წარდგენის ან სასამართლოში "საგადასახადო მოთხოვნაზე" სარჩელის წარდგენის შემთხვევაში გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 150-ე მუხლით;


ბ) დარიცხული თანხის გადაუხდელობისა და ამ ნაწილის "ა" ქვეპუნქტში აღნიშნული საჩივრის ან სარჩელის წარუდგენლობის შემთხვევაში, რაც განიხილება საგადასახადო ვალდებულების აღიარებამდე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კოდექსის სი თავით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში "საგადასახადო მოთხოვნაზე" ვადის დაუკველად შეტანის რისკი. საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანის სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო".

11. 88-ე მუხლის მე-11 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"11. თანხის სრულად გადახდისთანავე მყიდველს ეძლევა სერტიფიკატი გაყიდვისა და ქონების ფლობის (განკარგვის) შესახებ. ამ სერტიფიკატით მყიდველს გადაეცემა საკუთრების უფლება, რომელზედაც ვრცელდება არასაგადასახადო გირავნობის უფლება, რომელიც არსებობდა ქონების გაყიდვამდე და აღემატებოდა იმ საგადასახადო გირავნობის უფლებას, რომელმაც გამოიწვია ქონებაზე ყადაღის დადება. მყიდველმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანოს ქონება საწყობიდან ან საცაოიდან, სადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ინახავდა მას. მყიდველის საკუთრების უფლება ძალაში შედის თანხის სახე უწიფისათვის სრულად გადახდისთანავე".

ცხდებულად გამოცხადდა





12. 99-ე მუხლის მე-2 ნაწილს დამატებს შემდეგი შინაარსის "ზ" ქვეპუნქტი:

ზ) ამ კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილის ან/და 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ჩატარებული გავლითი შემოწმებებისა, თუ გადასახადის გადამხდელი თანახმაა, შემოწმება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე."

13. 103-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) უცხოური საწარმოსათვის საბანკო ანგარიშის გახსნისას აღნიშნულის თაობაზე 3 დღის ვადაში აცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, რომლის მიერ ინფორმაციის მიღებამდე უცხოური საწარმოს ანგარიშიდან არ განახორციელოს გასავლის ოპერაციები. გარდა ამისა, უცხოური საწარმოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იგი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს წარუდგენს ინფორმაციას უცხოური საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომრის ან/და მუდმივი დაწესებულების ფაქტობრივი მისამართის შესახებ (თუ ასეთი ინფორმაცია არსებობს ან ანგარიშის გახსენლმა პირმა ეს ინფორმაცია წარუდგინა ბანკს);".

14. 128-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 128. საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ბრძანების ან სხვა გადაწყვეტილების გასაჩივრება

საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ბრძანება ან სხვა გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება. აღნიშნული აქტები შეიძლება გასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოტანილია აღნიშნული ბრძანება ან სხვა გადაწყვეტილება, ან მისმა კანონიერმა ან უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ამ კოდექსის ძირითადი კანონით დადგენილი წესით, მხოლოდ მათ საფუძველზე გამოცემულ "საგადასახადო მოთხოვნასთან" ერთად."

15. VIII კარი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კარი VIII

საგადასახადო დავა

თავი XIX

საგადასახადო დავის განხილვის საერთო წესი

მუხლი 145. საგადასახადო დავის დაწყების საფუძველი

1. საგადასახადო დავის დაწყების მატერიალური საფუძველია საგადასახადო ორგანოს ან საგადასახადოს გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი ვალდებულების დარღვევა.

2. საგადასახადო დავის დაწყების ფორმალური საფუძველია:

ა) საგადასახადო ორგანოს მიერ ამ კოდექსის 81-ე მუხლით განსაზღვრული "გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის" შესრულებაზე უარი და შესაბამისი წერილობითი შესაგებლის წარდგენა ან ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში მისი წარუდგენლობა;

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის/საგადასახადო აგენტისათვის ან სხვა ვალდებული პირისათვის წარდგენილი, ამ კოდექსის მე-80 მუხლით განსაზღვრული "საგადასახადო მოთხოვნა";

გ) საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის/საგადასახადო აგენტისათვის ან სხვა ვალდებული პირისათვის ამ კოდექსის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გარდა იმ აქტებისა, რომლებიც ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება) წარდგენა.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება აქვს, სადავო საკითხი გასაჩივროს ამ კანონით დადგენილი წესით და აირჩიოს საგადასახადო დავის გადაწყვეტის ფორმა.

4. ამ კანონის საფუძველზე შესწორებული "საგადასახადო მოთხოვნა" შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი არ შეესაბამება საგადასახადო დავის განხილვისას



მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს.

**მუხლი 146.** საგადასახადო დავის გადაწყვეტის ფორმები და ზოგადი წესები

1. საგადასახადო დავის გადაწყვეტის ფორმებია:

- დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით;
- დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ.

2. დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით შედგება 2 ეტაპისაგან:

- დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში;
- დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავეების განხილვის საბჭოში (შემდგომში - საბჭო).

3. თუ გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა დავის გადაწყვეტის ფორმად აირჩია მისი გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით, მას უფლება აქვს, დავის გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში იმავე ვადაში, რომელშიც მას უფლება აქვს, გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, მიუხედავად იმისა, მითითებულია თუ არა ამის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წარდგენილ საჩივარში.

4. თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი დავას იწყებს ან დავას აგრძელებს სასამართლოში გასაჩივრებით, იგი ვალდებულია ამის თაობაზე წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს წერილობითი შეტყობინებით.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის მიმდინარეობისას, აგრეთვე "საგადასახადო მოთხოვნისა" და საგადასახადო ორგანოს, შემოსავლების სამსახურისა და საბჭოს გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებისათვის საჭირო ვადების განსაზღვრისას გამოიყენება მხოლოდ ეს კოდექსი და მის შესაბამისად გამოცემული სხვა სამართლებრივი აქტების დებულებები.

6. საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება ნიშნავს მის საფუძველზე გამოცემული "საგადასახადო მოთხოვნის" გასაჩივრებას და პიროქით.

7. საგადასახადო დავის დაწყება არ აჩერებს საგადასახადო ორგანოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას, გარდა ამ კოდექსის 148-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და აუღიარებელ საგადასახადო დავალიანებაზე ამ კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ"- "ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებისა.

8. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საჩივარი მთლიანად ან ნაწილობრივ არ განიხილება, თუ:

- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
- სასამართლოს წარმოებაშია საქმე იმავე მხარეებს შორის დავაზე, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;
- არსებობს შემოსავლების სამსახურის ან საბჭოს გადაწყვეტილება იმავე პირის მიმართ იმავე საგანზე;
- მიმდინარეობს საგადასახადო დავა იმავე პირის საჩივართან დაკავშირებით იმავე საგანზე;
- საჩივარი შეიტანა ქმედუწუნარო პირმა;
- საჩივარი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა.





- ბ) არ არსებობს დავის დაწყების ფორმალური საფუძვლები;
- თ) გასულია საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა;
- ი) საჩივრის ხარვეზი არ გამოსწორდა ამ კოდექსით დადგენილი წესით;
- კ) გასაჩივრებულ "საგადასახადო მოთხოვნაში" ასახულია აღიარებული გადასახადები და საგადასახადო ვალდებულებები. საჩივარი არ განიხილება ასეთი თანხების ნაწილში.

9. თუ მომჩივანი თავის უფლებებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში იცავს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენელი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კოდექსის 43-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

10. მომჩივანს ან მის წარმომადგენელს სხდომის ჩატარების დრო და ადგილი ეცნობება არსებული ტექნიკური საშუალებებით (მათ შორის, ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით და სხვა). თუ ვერ ხერხდება მომჩივანთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, დავა მათი მონაწილეობის გარეშე განიხილება.

11. თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 147-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებისა და 149-ე მუხლის (გარდა 149-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტისა) მოთხოვნებს, მომჩივანს წერილობით მიეთითება მათ შესახებ და ხარვეზების გამოსწორებლად მიეცემა არანაკლებ 5 კალენდარული დღისა. ამ პერიოდში დავის განხილვა ჩერდება. თუ ხარვეზი აღმოჩნდება დავის განხილვის მიზნით ჩატარებულ სხდომაზე და შესაძლებელია მისი დაუყოვნებლივ გამოსწორება, დავის განმხილველი ორგანოს თანხმობით ხარვეზი შეიძლება გამოსწორდეს სხდომაზევე.

12. საჩივრის წარდგენისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადა დაკულდა ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მომჩივანმა ამ კოდექსით დადგენილ ვადაში საჩივარი წარადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში.

13. საგადასახადო დავის განახლება ან/და აღიარებული "საგადასახადო მოთხოვნის" გადახედვა შეიძლება მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი გარემოებებისა და ფაქტების წარმოდგენის შემთხვევაში, ამ კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში და მხოლოდ ამ კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებზე. ამასთანავე, დავა განახლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრებული საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გამოცემისას გადასახადის გადახდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ მისთვის სასარგებლო გარემოებების ან ფაქტების წარუდგენლობა მისი ბრალით არ მომხდარა.

**მუხლი 147. საგადასახადო დავის დაწყების წესი**

1. თუ საგადასახადო ორგანო მთლიანად ან ნაწილობრივ უარს აცხადებს "გადასახადის გადახდელის მოთხოვნის" შესრულებაზე, იგი ვალდებულია, "გადასახადის გადახდელის მოთხოვნის" მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მოთხოვნის წარმდგენ პირს ამ კოდექსის 46-ე მუხლით დადგენილი წესით გაუგზავნოს წერილობითი შესავებელი. ამ ვადაში შესავებლის გაუგზავნელობა ნიშნავს "გადასახადის გადახდელის მოთხოვნის" შესრულებაზე უარს.

2. თუ გადასახადის გადახდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი უარს აცხადებს "საგადასახადო მოთხოვნის" შესრულებაზე ან არ ეთანხმება ამ კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, იგი ვალდებულია, "საგადასახადო მოთხოვნის"/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში, ამ კოდექსის 44-ე მუხლით დადგენილი წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საგადასახადო ორგანოს მეშვეობით გაუგზავნოს წერილობითი საჩივარი, თუ დავის დაწყების ფორმალ ირჩევს მის გადაწყვეტას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, ან საგადასახადო ორგანოს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება, თუ დავის გადაწყვეტის ფორმალ ირჩევს სასამართლოს მიერ მის გადაწყვეტას.

3. საჩივრის ყველა გვერდი უნდა აღინიშნოს და საჩივრის ბოლოში, ხელის მოწერამდე



სიტყვიერად მიითითოს შევსებული ფურცლების საერთო რაოდენობა.

4. მოდავე მხარე ვალდებულია ხელი მოაწეროს საჩივრის ყველა გვერდზე.

5. საგადასახადო დავის დაწყების თარიღად ითვლება:

ა) საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის/საგადასახადო აგენტისათვის ან სხვა ვალდებული პირისათვის ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული შესაგებლის გაგზავნის თარიღი, ხოლო შესაგებლის გაუგზავნელობის შემთხვევაში - მისი გაგზავნის ვადის ბოლო დღე;

ბ) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისათვის ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული საჩივრის ან შეტყობინების გაგზავნის თარიღი.

6. ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა მიიჩნევა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ "საგადასახადო მოთხოვნის" ან ამ კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღიარებად, იგი აღსასრულებლად მიიქცევა და "საგადასახადო მოთხოვნასა" და აღნიშნულ აქტზე ვადისა და ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

**მუხლი 148. სადავო თანხის გადახდის ვალდებულების შეჩერება**

სადავო თანხისა და მასზე დარიცხვული საურავის, ისევე, როგორც შესაბამისი ჯარიმის, გადახდის ვალდებულება შეჩერებულად ითვლება ამ კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე საგადასახადო დავის დაწყების დღიდან დავის დასრულებამდე, თუმცა ძირითად თანხაზე საურავის დარიცხვა გრძელდება.

**მუხლი 149. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საჩივარი და შეტყობინება**

1. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საჩივარში უნდა აღინიშნოს:

ა) უფლებამოსილი ორგანოს (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საბჭოს) დასახელება და მისამართი;

ბ) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ვინაობა (სახელი და გვარი, დასახელება), გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მისამართი და საკონტაქტო საშუალებები (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

გ) განსაზღვრებული გადაწყვეტილების ("საგადასახადო მოთხოვნის", შესაგებლის, საგადასახადო ორგანოს უარის) გამოცემის საგადასახადო ორგანოს დასახელება და მისამართი, ამ გადაწყვეტილების მიღების თარიღი და მოთხოვნის საგანი;

დ) "საგადასახადო მოთხოვნის" შესრულებაზე უარის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, ხოლო სხვა გადაწყვეტილების შემთხვევაში - მისი გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები;

ე) მისთვის დართულ მტკიცებულებათა ჩამონათვალი, რომელიც უნდა ემთხვეოდეს დართულ მტკიცებულებებს.

2. ამ კოდექსის 147-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ წერილობით შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს:

ა) საგადასახადო ორგანოს დასახელება და ზუსტი მისამართი;

ბ) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ვინაობა (სახელი და გვარი, დასახელება), გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მისამართი და საკონტაქტო საშუალებები (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული

სადავო თანხის გადახდის ვალდებულების შეჩერება





ლი ფოსტა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ("საგადასახადო მოთხოვნის") მიღების თარიღი და მოთხოვნის საგანი.

**მუხლი 150. "საგადასახადო მოთხოვნის" შესრულების უზრუნველყოფა**

1. გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი თავის მიერ "საგადასახადო მოთხოვნის" გასაჩივრების შემთხვევაში ვალდებულია, "საგადასახადო მოთხოვნის" მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში, "საგადასახადო მოთხოვნის" შესრულების უზრუნველყოფად, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საბანკო გარანტია ან/და ბანკში სადეპოზიტო ანგარიშზე სათანადო თანხის შეტანის ცნობა (გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს ამ თანხის განკარგვის უფლება არა აქვს ბანკისათვის შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ წერილობითი ნებართვის გაცემის გარეშე) ან/და ფინანსური რისკების დაზღვევის პოლისი ან/და თავისი ქონება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დასატიკოთად. წარდგენილი გარანტიების საერთო ღირებულება არ უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის სადავო საგადასახადო დავალიანებაზე ნაკლები. საგადასახადო ორგანო საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის უგზავნის საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის შეტყობინებას. საჯარო რეესტრი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა რეგისტრაციაში გაატაროს ეს უფლება. აღნიშნული ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ქონება დატიკოთულია საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით და იგი საკმარისია სადავო საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფად.

2. თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ვადაში საგადასახადო ორგანოს არ წარუდგენს იმავე ნაწილში აღნიშნულ უზრუნველყოფის გარანტიებს, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, დაუყოვნებლივ, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოიყენოს "საგადასახადო მოთხოვნის" შესრულების უზრუნველყოფის ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები (სადავო საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში, ხოლო თუ წარდგენილია ნაწილობრივი უზრუნველყოფის გარანტია, - იმ ფარგლებში, რაც საკმარისია სადავო საგადასახადო დავალიანების მოცულობის შესავსებად):

- ა) ყადაღა დაადოს მის საბანკო ანგარიშებს;
- ბ) ყადაღა დაადოს მის ნებისმიერი სახის ქონებას (მათ შორის, მოძრავ, უძრავ და არამატერიალურ ქონებას).

3. თუ საგადასახადო დავა გადაწყდება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის სასარგებლოდ, მაშინ გაუქმდება მის მიერ წარდგენილი უზრუნველყოფის გარანტიები, საგადასახადო ორგანოს მიერ დადებული ყადაღა ჩაითვლება მოხსნილად, ხოლო საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება - გაუქმებულია.

4. თუ საგადასახადო დავა არ გადაწყდება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის სასარგებლოდ, მაშინ მას სადავო საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღიდან დაეკისრება სადავო გადასახადისა და შესაბამისი საგადასახადო სანქციების თანხის გადახდა.

**მუხლი 151. საგადასახადო ორგანოს შესაგებელი**

1. საგადასახადო ორგანოს შესაგებელში უნდა აღინიშნოს:

- ა) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ვინაობა (სახელი და გვარი, დასახელება), გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მისამართი;
- ბ) საგადასახადო ორგანოს დასახელება და ზუსტი მისამართი, საკონტაქტო საშუალებები (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა);
- გ) "გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის" მიღების თარიღი და მოთხოვნის საგანი;
- დ) შესაგებლის გაგზავნის (გადაცემის) თარიღი;

საპანონმდებლო სიხლენი



- ე) "გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის" შესრულებაზე უარის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები;
  - ვ) შესაგებლისათვის დართულ მტკიცებულებათა ჩამონათვალი.
2. საგადასახადო ორგანოს შესაგებელს ხელს აწერს საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი/მისი მოადგილე.

**მუხლი 152.** გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის უფლებამოსილება საგადასახადო ორგანოს შესაგებლის მიღების ან დადგენილ ვადაში მისი მიუღებლობის შემდეგ

1. საგადასახადო ორგანოსაგან შესაგებლის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, აგრეთვე ამ კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში მისი მიუღებლობის შემთხვევაში, ამ ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარულ დღეში გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება აქვს, დავა გააგრძელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული ფორმით.

2. დავის სასამართლოში გაგრძელების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს საგადასახადო ორგანოს იმავე ვადაში, რა ვადაშიც აქვს დავის გაგრძელების უფლება.

3. ამ მუხლში აღნიშნულ ვადაში საგადასახადო დავის გაგრძელებლობა ან ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ცნობის წარუდგენლობა ითვლება დავაზე (მათ შორის, სასამართლოში დავაზე) უარის თქმად და აღნიშნული მოთხოვნების დაუკველად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

**თავი XX**

საგადასახადო დავის განხილვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში  
**მუხლი 153.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განხილვის მიზანი და მისი განმხილველი ორგანოები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განხილვის მიზანია მხარეთა თანასწორუფლებიანობის საწყისებზე დავის სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განხილვა და გადაწყვეტა ხორციელდება ამ კოდექსით დადგენილი წესით. სისტემაში მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ, ამ კოდექსის 146-ე მუხლისა და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განხილვა მიმდინარეობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და საბჭოში, რომლის შექმნისა და ფუნქციონირების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

**მუხლი 154.** საგადასახადო ორგანოს ვალდებულება საჩივრის ან "გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის" მიღებისას

1. საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი/მისი მოადგილე ვალდებულია, გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საჩივარი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, თანდართულ მასალებთან ერთად გაუგზავნოს შემოსავლების სამსახურს.

2. თუ საგადასახადო ორგანო "გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის" მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს არ გაუგზავნის მას, ეს ნიშნავს "გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის" შესრულებაზე უარს.

**მუხლი 155.** საგადასახადო ორგანოს ვალდებულების გასაჩივრება

საგადასახადო ორგანო





ერეკლეტიანი

1. გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება აქვს, "საგადასახადო მოთხოვნა" ან ამ კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისი მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში, ამ კოდექსის 147-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს შესაგებელი (მისი მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში) და იმავე ნაწილით განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის გაუგზავნელობისას საგადასახადო ორგანოს უარი (ამ ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში) გაასაჩივროს:

- ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემემა საგადასახადო ორგანოს მეშვეობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში და წარდგენილ საჩივარს უნდა დაუთოს დამატებითი მტკიცებულებები, მათი არსებობის შემთხვევაში;
- ბ) სასამართლოში.

2. თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული გასაჩივრების ვადები შესაძლებელია ათვალოს განსხვავებული თარიღებიდან, უპირატესობა ენიჭება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ შესაგებლის მიღების თარიღს, მიუხედავად იმისა, დროულად გააგზავნა თუ არა შესაგებელი საგადასახადო ორგანომ.

3. თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დადგენილ ვადებში არ გაასაჩივრებს (მათ შორის, სასამართლოში):

ა) საგადასახადო ორგანოს "საგადასახადო მოთხოვნას" ან შესაგებელს, "საგადასახადო მოთხოვნა" აღიარებულად ჩაითვლება, აღსასრულებლად მიიქცევა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში "საგადასახადო მოთხოვნაზე" ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო, "გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა" გაუქმებულად ჩაითვლება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში უარზე ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო;


ბ) საგადასახადო ორგანოს უარს, "გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა" გაუქმებულად ჩაითვლება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში უარზე ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო;

გ) ამ კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ეს ჩაითვლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღიარებად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ამ აქტზე ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

**მუხლი 156. საგადასახადო დავის განხილვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ვალდებულია, ამ კოდექსის 155-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საჩივრის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში განიხილოს იგი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და არა უგვიანეს გადაწყვეტილების მიღებიდან მე-3 სამუშაო დღისა გაუგზავნოს იგი მომჩივანს და იმ საგადასახადო ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებაც იყო გასაჩივრებული. თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური დააკენის, რომ სათანადოდ არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებები, იგი უფლებამოსილია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემემა საგადასახადო ორგანოს დაავალოს, განმეორებთ განიხილოს და შეისწავლოს მხოლოდ სადავო საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებულ ვადაში, რომელიც არ





შეიძლება იყოს 30 სამუშაო დღეზე მეტი. ამ პერიოდში დავის განხილვა ჩერდება.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული სადავო საკითხის განმეორებითი განხილვისა და შესწავლის უზრუნველსაყოფად გავსვითი საგადასახადო შემოწმების ჩატარება არ საჭიროებს მოსამართლის ბრძანებას, თუ გადამხდელი თანახმაა, შემოწმება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე. გადამხდელის ინფორმირებას განმეორებითი შემოწმების შესახებ უზრუნველყოფს საგადასახადო ორგანო.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში დავა განიხილება მომჩივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) მონაწილეობით. განხილვისათვის დანიშნულ დროს მომჩივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დავა მის გარეშე განიხილება. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ვადაში შესაძლებელია ჩატარდეს მოსამზადებელი სხდომა/სხდომები.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური დავის განხილვის საფუძველზე უფლებამოსილია:

- ა) დააკმაყოფილოს საჩივარი და გააუქმოს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება;
- ბ) ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი და ნაწილობრივ გააუქმოს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება;

გ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება შეიძლება გამოიცეს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილებების გაერთიანების საფუძველზედაც. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მისი მიღების დრო და ადგილი, მიძღვებ პირთა ვინაობა, მომჩივნისა და საგადასახადო ორგანოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც იყო გასაჩივრებული, და დავის საგანი;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომელთა საფუძველზედაც მოხდა ამა თუ იმ მტკიცებულების უარყოფა, ნორმატიული აქტების და მათი ნორმები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა იგი;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დასკვნა საჩივრის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების, მის დაკმაყოფილებაზე უარის ან სადავო საკითხის განმეორებით განხილვის შესახებ;

დ) მისი გასაჩივრების ვადა და წესი.

6. გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა.

7. საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ვალდებულია, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს გადაწყვეტილებასთან ერთად გაუგზავნოს შესწორებული "საგადასახადო მოთხოვნა" (თუ მოხდა მისი შესწორება).

8. თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში არ მიიღებს იმავე ნაწილში აღნიშნულ გადაწყვეტილებას ან გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს არ გაუგზავნის მას, ეს ნიშნავს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარს.

**მუხლი 157. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება**

1. გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება აქვს, ამ კოდექსის 156-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ"-დ ქვებუნქტ. ო განსაზღვრულ შემთხვევებში საქართველოს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური





ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება (ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში), აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უარი, თუ მან ამ კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში არ მიიღო ეს გადაწყვეტილება (ამ ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში), გაასაჩივროს:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მეშვეობით საბჭოში და მან წარდგენილ საჩივარს უნდა დაუთოს ამავე სამსახურისათვის წარდგენილი ყველა მასალის ასლი და დამატებითი მტკიცებულებები, მათი არსებობის შემთხვევაში;

ბ) სასამართლოში (ასეთ შემთხვევაში მოპასუხეა ამ კოდექსის 147-ე მუხლში ან 151-ე მუხლში აღნიშნული საგადასახადო ორგანო).

2. თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული გასაჩივრების ვადები შესაძლებელია ათავალის განსხვავებული თარიღებიდან, უპირატესობა ენიჭება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღს, მიუხედავად იმისა, დროულად გააგზავნა თუ არა გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურში.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ვალდებულია, გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საჩივარი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, თანდართულ მასალებთან ერთად გაუგზავნოს საბჭოს.

4. თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში არ გაასაჩივრებს (მათ შორის, სასამართლოში):

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებას, იგი აღიარებულად ჩაითვლება, აღსასრულებლად მიიქცევა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადაწყვეტილებაზე ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უარს, საჩივარი გაუქმებულად ჩაითვლება, გასაჩივრებული გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიიქცევა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში უარზე ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

**მუხლი 158. საბჭო, საბჭოს სხდომა და რეკლამენტი**

1. საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბჭოში ნებაყოფლობით საწყისებზე აგრეთვე მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის წევრები და დამოუკიდებელი ექსპერტები (მათ შორის, უცხო ქვეყნის ექსპერტები) საბჭოს წევრის სტატუსით.

2. საბჭო დავას თავის სხდომაზე იხილავს საჩივრის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ვადაში შესაძლებელია ჩატარდეს მოსამზადებელი სხდომა/სხდომები. თუ საბჭო დაასკენის, რომ სათანადოდ არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებები, იგი უფლებამოსილია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოძკემ საგადასახადო ორგანოს დაევალოს, განმეორებით განიხილოს და შეისწავლოს მხოლოდ სადავო საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებულ ვადაში, რომელიც არ შეიძლება იყოს 30 სამუშაო დღეზე მეტი. აღნიშნულ პერიოდში დავის განხილვა ჩერდება. ამ ვადის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ ერთხელ და არა უმეტეს 15 სამუშაო დღით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული სადავო საკითხის განმეორებითი განხილვისა და შესწავლის უზრუნველსაყოფად გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარება არ საჭიროებს მოსამართლის ბრძანებას, თუ გადამხდელი თანხმდა, შემოწმება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე. გადამხდელის ინფორმირებას განმეორებითი შემოწმების შესახებ უზრუნველყოფს საგადა-

საქართველოს პარლამენტი





სახალს ორგანო.

4. საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ან საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ საბჭოს წევრთაგან დანიშნული პირი.

5. საბჭო შემოქმედებს საბჭოს რეგლამენტს, რომელიც მტკიცდება ამ კოდექსის 153-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საბჭოს რეგლამენტით განისაზღვრება საგადასახადო დავის წარმოების პროცედურები, მათ შორის, სხდომების მოსამზადებლად ჩასატარებელი ღონისძიებები, მტკიცებულებების მოპოვების საკითხები, საბჭოს წევრთა ჩანაცვლების, საბჭოს სხდომის მიმდინარეობის, კენჭისყრისა და სხვა საკითხები. საბჭოს რეგლამენტი აგრეთვე გამოიყენება შემოსავლების სამსახურის მიერ დავების განხილვისას. ის პროცედურები, რომლებიც საბჭოს რეგლამენტით ვერ დარეგულირდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში გადაწყვეტილების მიღების წესის თავისებურებებიდან გამომდინარე, რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, რომელიც შეასრულებს საბჭოს აპარატის ფუნქციას, და დავების განხილვის მომზადების შიდაწყებრივი პროცედურები.

6. საბჭო უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა უმრავლესობა. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. დაუშვებელია ხმის მიცემისაგან თავის შეკავება.

7. საბჭოში დავა განიხილება მომჩივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) მონაწილეობით. განხილვისათვის დანიშნულ დროს მომჩივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დავა მის გარეშე განიხილება.

**მუხლი 159. საბჭოს გადაწყვეტილება**

1. საბჭო უფლებამოსილია დავის განხილვის საფუძველზე:

- ა) დააკმაყოფილოს საჩივარი და გააუქმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება;
- ბ) ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი და ნაწილობრივ გააუქმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება;
- გ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი.

2. საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გამოიცეს ამ მუხლის პირველი ნაწილის უფლებამოსილების გარეთიანების საფუძველზე. საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) მისი მიღების დრო და ადგილი, მიმღებ პირთა ვინაობა, მომჩივნისა და საგადასახადო ორგანოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც იყო გასაჩივრებული, და დავის საგანი;
- ბ) საბჭოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომელთა საფუძველზედაც მოხდა ამა თუ იმ მტკიცებულების უარყოფა, ნორმატიული აქტები და მათი ნორმები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა იგი;
- გ) საბჭოს დასკვნა საჩივრის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ;
- დ) მისი გასაჩივრების ვადა და წესი.

3. საბჭოს წევრს (როგორც გადაწყვეტილების მომხრეს, ისე მოწინააღმდეგეს) უფლება აქვს, საბჭოს გადაწყვეტილებას დაუროთ განსხვავებული მოსაზრება.

4. საბჭო ვალდებულია, საბჭოს გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა, გაუგზავნოს ან პირადად ჩააბაროს მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს.

5. თუ საბჭო ამ კოდექსის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილში განსაზღვრულ ვადაში არ მიიღებს იმვე ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას, ეს ნიშნავს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარს.

სახალს ორგანო





**მუხლი 160.** საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა და მისი გასაჩივრება

1. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის:

ა) მომჩივნის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღებიდან მე-10 კალენდარულ დღეს, თუ მან ამ ვადაში არ გაასაჩივრა იგი;

ბ) ამ კოდექსის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან მე-10 კალენდარულ დღეს, თუ საბჭომ ამ ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება და მომჩივანმა ამავე ვადაში არ გაასაჩივრა საბჭოს უარი.

2. გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა უფლებამოსილ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს საბჭოს გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ვადებში. ასეთ შემთხვევაში მოპასუხე ან კოდექსის 147-ე მუხლში ან 151-ე მუხლში აღნიშნული საგადასახადო ორგანო.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში მითითებული ვადების დაუცველად სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

**მუხლი 161.** სასამართლოს მიერ საგადასახადო დავის განხილვა

გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ "საგადასახადო მოთხოვნა", საგადასახადო ორგანოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ამ კოდექსით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით. სასამართლოში წარდგენილი სარჩელი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით."

16. 274-ე მუხლის მე-10 ნაწილის "ა"-დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველი წლის 1 აპრილამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს წარუდგენს მონაცემებს ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტებისა და მათი მე-საკუთრების შესახებ;

გ) საპაერო ან/და საზღვაო ადმინისტრაციები ყოველი წლის 1 ივნისამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს წარუდგენენ მონაცემებს ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტებისა და მათი მე-საკუთრების შესახებ;

დ) თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო ყოველი წლის 1 ივნისამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს წარუდგენს მონაცემებს ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და მე-6 ნაწილით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტებისა და მათი მე-საკუთრების შემოსავლების შესახებ."

**მუხლი 2**

1. ამ კანონის პირველი მუხლის მე-10, მე-12 და მე-15 ნაწილების ამოქმედებამდე 15 კალენდარული დღის ვადაში გაგზავნილ "საგადასახადო მოთხოვნაზე" საჩივარი ან სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს "საგადასახადო მოთხოვნის" მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-10, მე-12 და მე-15 ნაწილების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ "საგადასახადო მოთხოვნაზე" საჩივრის ნაცვლად შესაგებლის შეტანა არ შეიძლება ჩაითვალოს ხარვეზად.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-15 ნაწილის ამოქმედებამდე საგადასახადო ორგანოებში შეტანილ შესაგებელს განიხილავენ "საგადასახადო მოთხოვნის" გამოცემი საგადასახადო ორგანოები ამ კანონის პირველი მუხლის მე-15 ნაწილის ამოქმედებამდე მოქმედი დებულებების შესაბამისად, ხოლო საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება იმავე წესით, რომელიც დადგენილია ამ კანონით "საგადასახადო მოთხოვნის" გასაჩივრებისათვის.



4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში გაერთიანებამდე შემოსავლების სამსახურის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებები განახორციელოს საგადასახადო დეპარტამენტმა.

**მუხლი 3**

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლის მე-10, მე-12 და მე-15 ნაწილებისა, ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-10, მე-12 და მე-15 ნაწილები ამოქმედდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შექმნისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 2007 წლის 1 აპრილისა.

საქართველოს პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი  
თბილისი,  
2006 წლის 29 დეკემბერი.  
4255-რს

გამოქვეყნებულია №51 მაცნეში  
31.12.2006  
ნაწილი I

**საქართველოს კანონი**

საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მიღებულია - 29.12.2006 წ.      ძალაშია - 01.01.2007 წ.  
31.01.2007 წ. - მდგომარეობით

მუხლი 1. საქართველოს საბაჟო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39, 09.08.2006, მუხ. 280) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის აღსრულების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს საბაჟო ორგანოების მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ. საბაჟო ორგანოები საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის აღსრულებისას ხელმძღვანელობენ ამ აქტებით."

2. მე-7 მუხლის:

ა) 24-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

24. საბაჟო ორგანო - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, მისი სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული ორგანო, ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურული ერთეული ან სხვა ქვედანაყოფი, რომლის ფუნქციასაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული პროცედურების, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, აღნიშნული ორგანოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში საბაჟო ორგანოდ აგრეთვე ჩაითვლება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შედეგ შექმნილი ნებისმიერი დაწესებულება, ამ

საქართველოს საბაჟო კოდექსი





დაწესებულების ტერიტორიული ორგანო ან სხვა ქვედანაყოფი, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, შეასრულოს საბაჟო ორგანოს ფუნქციები”;

ბ) 24-ე ნაწილის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის 24 ნაწილი:

"24 . შემოსავლების სამსახური - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ან შემოსავლების სამსახურის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამის შედეგად შექმნილი ნებისმიერი დაწესებულება, რომელსაც მიენიჭება უფლებამოსილება, შეასრულოს შემოსავლების სამსახურის ამ კოდექსით გათვალისწინებული ფუნქციები."

3. 22-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საბაჟო ორგანოების ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა შედგება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და მასში შემაჯავლი საბაჟო ორგანოებისაგან”;

ბ) მე-2 და მე-3 ნაწილები ამოღებულ იქნეს.

4. 24-ე და 25-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

5. 59-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. დროებითი დასაწყობების მიზნით საქონლის მფლობელის შუამდგომლობის საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, საბაჟო ორგანოში წარდგენილი საქონელი შეინახოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობში მის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებამდე”.

6. 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანაზე ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ლიკენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების გაცემის უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიძლება დელეგირებულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურზე”.

7. 84-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 84. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი

საქართველოს საზღვრებზე, საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებში, სახმელეთო გასასვლელებში და საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ახორციელებს:

ა) სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს "სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ" და "მავენ ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ბ) სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს "სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ" და "ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

გ) სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს საქართველოს სანიტარიული კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად”.

8. 90-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. მგზავრის წერილობითი განცხადების საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, საქონელი შეინახოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობში 20 კალენდარული დღის განმავლობაში. მგზავრის დასაბუთებული წერილობითი განცხადების შესაბამისად საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, აღნიშნული ვადა გააგრძელოს 10 კალენდარულ დღემდე”.

9. 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. საბაჟო საწყობის მფლობელი შეიძლება იყოს საქართველოს საწარმო ან მეწარმე ფიზიკური პირი ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური”.

სახელმწიფო უფლებამოსილება



10. 104-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვას გაცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. თუ შემოსავლების სამსახური თვითონ არის საბაჟო საწყობის მფლობელი, საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა საჭირო არ არის;"

ბ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვას 3 წლის ვადით გაცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პირობების გარდა, საჭიროა:

ა) საბაჟო საწყობი აკმაყოფილებდეს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

ბ) ნებართვის მაძიებლის საკუთრებაში ან არანაკლებ 3 წლის ვადით დადებული საიჯარო ხელშეკრულებით მის მფლობელობაში არსებობდეს საბაჟო საწყობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა;

გ) წარდგენილ იქნეს საბაჟო გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით;

დ) ნებართვის მაძიებელს არ ჰქონდეს საგადასახადო ან/და საბაჟო დავალიანება."

11. 107-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 107. საქონლის შენახვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობში

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობი ღია სახისაა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობში საქონლის შენახვისას საბაჟო ორგანოსა და მომთავსებელ შორის წარმოშობილი ურთიერთობები, მათი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და ამ კოდექსით."

12. 114-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვას 3 წლის ვადით გაცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. ეს ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ საქართველოს საწარმოზე ან მეწარმე ფიზიკურ პირზე."

13. 128-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. იმპორტის გადასახდლების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით შესაძლებელია საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოექცეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანისათვის განკუთვნილი ქვემოთ ჩამოთვლილი უცხოური საქონელი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ საქონელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების საფუძველზე უგრძელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის ვადა):

ა) ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის, თევზები), რომელთა შემოყვანის მიზანია:

ა,ა) წვრთნა, ვარჯიში, მოშენება, აწონვა, ვეტერინარული დამუშავება ან შემოწმება (შესყიდვის მიზნით და სხვა);

არქივირებულია





აბ) წარმოდგენაში, გამოფენაში, კონკურსში, შეჯიბრებაში ან ჩვენებაში მონაწილეობა;  
აგ) გართობა (ცირკის ცხოველები და სხვა), მოგზაურობა (მოგზაურთა შინაური ცხოველების ჩათვლით);

ად) სპეციალური სამუშაოების შესრულება (პოლიციისათვის და სხვა მიზნებისათვის);

აე) სამაშველო ოპერაციების ჩატარება;

აჟ) ძოვება;

ზ) სამუშაოების შესრულება ან ტრანსპორტირება;

თ) სამედიცინო დანიშნულებით გამოყენება (გველის შხამის მიღება და სხვა);

ბ) ბაზრობისათვის, გამოფენისათვის, სხვადასხვა სახის შეხვედრისა და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონელი, გარდა ღონისძიებაზე წარმოდგენილი დასახარჯი (მოსახმარი, გასანადგურებელი) უცხოური საქონლის ნიმუშებისა (კვების პროდუქტები, ელექტროშედულებებისათვის განკუთვნილი ელექტროდები, საღებავი, ლაქი, შპალერი, ნაბეჭდი მასალები, კატალოგები, სარეკლამო პლაკატები, ფასების მაჩვენებლები და სხვა). ეს საქონელია:

ბა) საქონელი, რომელიც განკუთვნილია უცხოური დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბბ) სამშენებლო და დეკორატიული მასალა (ელექტრომოწყობილობების ჩათვლით), რომელიც აუცილებელია უცხოური დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბგ) სარეკლამო-საჩვენებელი მასალა, რომელიც განკუთვნილია უცხოური საქონლის საჯარო დემონსტრირებისათვის (ხმისა და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, ფილმები და სლაიდები, ასევე სხვა შესაბამისი მოწყობილობა);


გ) კინემატოგრაფიისათვის, პრესისათვის, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებისათვის საჭირო პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც ეკუთვნის უცხოურ საწარმოს/ორგანიზაციას ან არარეზიდენტ ფიზიკურ პირს, საქართველოში შემოტანილია და გამოიყენება ამავე პირის მიერ მხოლოდ პრესის, ხმოვანი და სატელევიზიო მოწყობილობებისათვის, რომლებიც საჭიროა უცხოური კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი პრესის, მაუწყებლობის ან სატელევიზიო ორგანიზაციის იმ წარმომადგენლობისათვის, რომელიც ამზადებს ან გადასცემს რეპორტაჟებს ან იწერს სპეციალურ პროგრამებს; კინემატოგრაფიული მიზნებისათვის განკუთვნილი პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა იმ უცხოური საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირისათვის, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ახორციელებს ფილმის (ფილმების) გადაღებას. ეს მოწყობილობებია:

გა) პრესისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: პერსონალური კომპიუტერი, ტელეფაქსი, საბეჭდი მანქანა, ყველა ტიპის ფოტოაპარატი (ფირიანი და ელექტრონული), ხმის გადაცემა ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები (მაგნიტოფონი, ვიდეომანიტოფონი, ფლოფერი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, აკუსტიკური სეტი), ხმის ან გამოსახულების ჩანაწერების მატარებლები ჩანაწერით ან ჩანაწერის ვარეშე, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები და აპარატები (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონისა და ვიდეომანიტოფონის შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრი, ჩემოდანი და ჩანთა ინსტრუმენტებისათვის, ვექტროსკოპი, ვიდეოსიგნალების გენერატორი და ა.შ.), გამანათებელი მოწყობილობები (პროექტორი, ტრანსფორმატორი, სამეფხა), დამხმარე საკუთონოები (კასეტა, ფოტომეტრი, ობიექტივი, სამეფხა, აკუმულატორი, ამძრავი ღვედი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, მონიტორი);

გბ) რადიომაუწყებლობისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: კავშირგაბმულობის მოწყობილობები (რადიოგადამცემი, რადიომიმღები ან გადაცემები, ტერმინალები, ქსელთან ან კაბელთან მისაერთებელი, კავშირგაბმულობის თანამგზავრული ხაზები), მოწყობილობები ბეკრითი სიხშირეების გენერირებისათვის (ხმის ჩამწერი, რეგისტრაციის ან აღმწარმოებელი აპარატები), საზომ-საკონტროლო აპარატები და ხელსაწყოები (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონისა და ვიდეომანიტოფონის შესა-

სხვათა უახლოესი





მოწყებელი სისტემები, მულტიმეტრი, ჩემოდანი და ჩანთა ინსტრუმენტებისათვის, ვექტოროსკოპი, ვიდეოსიგნალების გენერატორი და ა.შ.), დამხმარე მოწყობილობები და საკუთონები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი, მიკროფონი, მიქსერული პულტი, ხმის ჩამწერი მაგნიტური ლენტები, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუსულატორი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, ჰაერის გამათბობელი, კონდიციონერებისა და ვენტილაციის აპარატურა და ა.შ.), ხმის ჩანაწერების მატარებლები ჩანაწერით ან ჩანაწერის გარეშე;

გვ) ტელევიზიისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: ტელეკამერა, ტელეკინოროეკციის დანადგარი, საზომ-საკონტროლო აპარატები და ხელსაწყოები, გადამცემი და რეტრანსლაციის აპარატები, ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეიერი, მიკროფონი, მიქსერული პულტი, აკუსტიკური სვეტი), გამანათებელი მოწყობილობები (პროექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა), აპარატურა ვიდეომონიტაჟისათვის, დამხმარე მოწყობილობები და საკუთონები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი, ობიექტივი, ფოტომეტრი, სამფეხა, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, კასეტა, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუსულატორი, ჰაერის გამათბობელი, კონდიციონერებისა და ვენტილაციის აპარატურა და ა.შ.), ხმის ან გამოსახულების ჩანაწერების მატარებლები ჩანაწერით ან ჩანაწერის გარეშე (გადაცემის სათაური, სადურის პირობითი მოსახმობი სიგნალი, მუსიკალური ჩანართი და ა.შ.), მიმდინარე გადასაღები მასალა (კინოფირი და ა.შ.), მუსიკალური ინსტრუმენტები, კოსტიუმები, დეკორაციები და სხვა თეატრალური და სასცენო აქსესუარები, გრიბი, თმის საშრობი;

გდ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შემუშავებულია ან სპეციალურად მომარჯვებულია ზემოთ მითითებული მიზნებისათვის, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებები ტელეგადამცემი აპარატურისათვის, სატელევიზიო დამხმარე მოწყობილობებისა და საკუთონებისათვის, ხმის ჩამწერი ან აღმწარმოებელი აპარატებისათვის, შენელებული აღწარმოების აპარატურისათვის, გამანათებელი მოწყობილობებისათვის;

გე) კინემატოგრაფიისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: ყველა ტიპის კამერა (კინოკამერა და ვიდეოკამერა), საზომ-საკონტროლო მოწყობილობები და აპარატები (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრი, ჩემოდანი და ჩანთა ინსტრუმენტებისათვის, ვექტოროსკოპი, ვიდეოსიგნალების გენერატორი და ა.შ.), ამქვეყნისა ოპერატორისათვის და შტატივი მიკროფონისათვის, გამანათებელი მოწყობილობები (პროექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა), აპარატურა ვიდეომონიტაჟისათვის, ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეიერი, მიკროფონი, მიქსერული პულტი, აკუსტიკური სვეტი), მიმდინარე გადასაღები მასალა, დამხმარე მოწყობილობები და საკუთონები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი, მიკროფონი, მიქსერული პულტი, ხმის ჩამწერი მაგნიტური ლენტები, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუსულატორი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, ჰაერის გამათბობელი, კონდიციონერისა და ვენტილაციის აპარატურა და ა.შ.), მუსიკალური ინსტრუმენტები, კოსტიუმები, დეკორაციები და სხვა თეატრალური და სასცენო აქსესუარები, გრიბი, თმის საშრობი;

გვ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შემუშავებულია ან სპეციალურად მომარჯვებულია ზემოთ მითითებული მიზნებისათვის;

დ) სხვა მოწყობილობები:

და) მოწყობილობები მანქანის, დანადგარის, სატრანსპორტო მოწყობილობების მონტაჟის, გამოცდის, გაშვების, კონტროლის, შემოწმების, ტექნიკური მომსახურების ან შეკეთებისათვის: ხელსაწყოები, მოწყობილობები და ხელსაწყოები გაზომვისათვის, შემოწმებისა და კონტროლისათვის (ტემპერატურის, წნევის, მანძილის, სიმაღლის, ზედაპირის, სიჩქარის და ა.შ.), მათ შორის, ელექტრონული ხელსაწყოები (ვოლტმეტრი, ამპერმეტრი, საზომი სადენი, კომპარატორი, ტრანსფორმატორი, სარეგისტრაციო მოწყობილობა და ა.შ.) და მოსაჭერი მოწყობილობები, აპარატები და მოწყობილობები მანქანებისა და დანადგარების ფოტოგრაფირებისათვის მონტაჟის დროს და მის შემდეგ, ხელსაწყო გემის ტექნიკური

საკანონმდებლო სიხსენი





კონტროლისათვის;

დ.ბ) ექსპერტის, ბუღალტრისა და მსგავსი პროფესიის ადამიანებისათვის აუცილებელი მოწყობილობები: პერსონალური კომპიუტერი, საბეჭდო მანქანა, ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი ან გადაცემა აპარატები, საანგარიშო ხელსაწყო და აპარატი;

დ.გ) მოწყობილობა, რომელიც საჭიროა ექსპერტისათვის, რომელსაც ევალება ტოპოგრაფიული გადაღება ან გეოფიზიკური დაზვერვა: საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები და აპარატები, საბურღი მოწყობილობა, გადაცემა მოწყობილობა და კავშირგაბმულობის მოწყობილობა;

დ.დ) მოწყობილობა, რომელსაც იყენებს ექსპერტი გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით;

დ.ე) ხელსაწყოები და აპარატები, რომლებიც აუცილებელია ექიმის, ქირურგის, ვეტერინარის, სანიტრისა და მსგავსი პროფესიის ადამიანებისათვის;

დ.ვ) მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია არქეოლოგიის, პალეონტოლოგიის, გეოგრაფიის, ზოოლოგიისა და სხვა სპეციალისტებისათვის;

დ.ზ) მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია მსახიობისათვის, თეატრალური დასისა და ორკესტრისათვის; საგნები, რომლებიც გამოიყენება წარმოდგენის მსვლელობის დროს, მუსიკალური ინსტრუმენტები, დეკორაციები, კოსტიუმები და ა.შ.;

დ.თ) მოწყობილობა, რომელიც აუცილებელია მომხსენებლისათვის თავისი მოხსენების განმარტებისათვის;

დ.ი) მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია მოგზაურობის დროს ფოტოსურათების გადასაღებად (ნებისმიერი სახის ფოტოაპარატი, კასეტა, ექსპონომეტრი, ობიექტივი, სამფეხა, აკუმულატორი, ამძრავი ქაძარი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, მინიტორი, გამანათებელი, მოდური ტანსაცმელი და მანეკენის ტუალეტის საგნები და ა.შ.);

დ.კ) ზემოაღნიშნული მიზნებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები, როგორებიცაა: მოძრავი საკონტროლო დანადგარი, მოძრავი სახელოსნო, მოძრავი ლაბორატორია და ა.შ.;

ე) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მიზნებისათვის შემოტანილი საქონელი (თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს ეს საქონელი რჩება უცხოური საწარმოს/ ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში):

ე.ა) ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები: ეპიდასკოპი, კინოპროექტორი, რირპროექტორი და ეპისკოპი, მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი და კინოსკოპი, დაზნული სატელევიზიო სისტემა;

ე.ბ) ხმისა და გამოსახულების მატარებლები: დიაპოზიტივი, დიაფილმი და მიკროფილმი, კინოფილმი, ხმოვანი ჩანაწერი (მაგნიტური ლენტა, დისკი), ვიდეოლენტი;

ე.გ) სპეციალური მოწყობილობები: ბიბლიოგრაფიული მოწყობილობა და აუდიოვიზუალური საშუალებები ბიბლიოთეკისათვის, მოძრავი ბიბლიოთეკა, უცხოურ ენათა შემსწავლელი ლაბორატორია, სინქრონული თარგმნის მოწყობილობა, მექანიკური ან ელექტრონული პროგრამული სასწავლო მანქანა, სპეციალურად შექმნილი მოწყობილობა ინვალიდების სწავლებისათვის ან მათი პროფესიული მომზადებისათვის;

ე.დ) სხვა მოწყობილობები: კედლის დიაგრამა, მაკეტი, გრაფიკა, რუკა, გეგმა, ფოტოსურათი და ნახატი, საჩვენებლად შექმნილი ხელსაწყო, აპარატები და მოდულები, ხმოვანი ან ვიზუალური პედაგოგიური ინფორმაციის მატარებელი საგნების კოლექცია, რომელიც შექმნილია ამა თუ იმ საგნის (სასწავლო კომპლექტების) სასწავლებლად, ხელობის შესასწაველი ხელსაწყო, აპარატი, ინსტრუმენტი და ჩარხი, მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია სამაშველო პერსონალის მოსამზადებლად, იმ სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით, რომლებიც შექმნილია ან სპეციალურად გამოიყენება სამაშველო ოპერაციის დროს;

ე.ე) წიგნები და ბეჭდვითი პროდუქცია: ყველა ჟანრის წიგნი, დაუსწრებელი სწავლების

არქივდოკუმენტაცია





სახელმძღვანელო, გაზეთი და პერიოდული გამოცემა, ბროშურა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ნავსადგურში მეზღვაურების დასვენებისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

ე.ე) აუდიოვიზუალური დანადგარები: ხმის ან გამოსახულების აღწარმოებული აპარატები, მაგნიტოფონი, რადიომიმღები და ტელევიზორი, საპროექციო აპარატი, ჩანაწერი დისკზე ან მაგნიტურ ლენტზე (ენების შემსწავლელი კურსები, რადიოვადკემები, მუსიკალური ჩანაწერები და გასართობი ხასიათის ჩანაწერები), გადაღებული ან გამჟღავნებული კინო- და ფოტოფირები, დიაპოზიტივი, ვიდეოლენტი;

ე.ვ) სპორტული ნაწარმი: სპორტული ტანსაცმელი, დიდი და პატარა ბურთები, ჩოგანი და ბაფი, გემბანის თამაშები (შესაბამისი მოწყობილობა), ინვენტარი მძლეოსნობისათვის, სატანვარჯიშო მოწყობილობა;

ე.თ) მოწყობილობები თამაშისა და დასვენებისათვის: ოთახის თამაშები, მუსიკალური ინსტრუმენტები, მოწყობილობები და აქსესუარები მოყვარულთა თეატრისათვის, მოწყობილობები ფერწერისათვის, სკულპტურისათვის, ხესა და ლითონზე მუშაობისათვის, ხალიჩის დასამზადებლად და ა.შ.; ე.ი) რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად საჭირო ნივთები;

ე.კ) დასვენებისათვის აუცილებელი მოწყობილობის ნაწილები, დეტალები და საკუთვნობები; ე.ლ) თეატრალური კოსტიუმები და აქსესუარები, რომლებიც გამოგზავნილია თეატრალური საზოგადოებისა და თეატრისათვის დროებით, უსასყიდლო სარგებლობისათვის;

ე.მ) პარტიტურა და ნოტები, რომლებიც გამოგზავნილია საკონცერტო დარბაზებისათვის ან ორკესტრისათვის დროებით, უსასყიდლო სარგებლობისათვის;

ე.ნ) საქონელი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ან/და დაწესებულებებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცათ სტიქიური უბედურების, ავარიის, კატასტროფისა და ეპიდემიის შედეგების სალიკვიდაციოდ;

ე.ო) სასწავლო დამხმარე საშუალებები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები და სამეცნიერო მოწყობილობები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ დამხმარე საშუალებათა შენახვის, შემოწმების, შეკეთების ან დაყალიბებისათვის, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ზ.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწესებულების მიერ მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

ზ.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის; ზ.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

თ) სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ მოწყობილობათა შენახვის, შემოწმების, შეკეთების ან დაყალიბებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო მიზნებისათვის, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

თ.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწესებულების მიერ მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

თ.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის; თ.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

ი) სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის, გემი და საფრენი საშუალება), თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ი.ა) რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე; ი.ბ) რეგისტრირებულია პირზე, რომელიც არ არის ' აქართველოს მოქალაქე, და გამოიყენება მის

ახალი კანონები





მეორე საქართველოს ტერიტორიაზე გადასაადგილებლად;

კ) საქონელი დიპლომატიური და ტურისტული მიზნებისათვის, თუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

ლ) კომერციულ ოპერაციასთან დაკავშირებით შემოტანილი კონტინერი, ქვესადგამი, შეფუთვა, ნიმუში, სარეკლამო ფილმი და სხვა საქონელი;

ლ.ა) კონტინერი ("კონტინერების შესახებ" ენექსის 1972 წლის კონვენციის მიხედვით);

ლ.ბ) ქვესადგამი;

ლ.გ) შეფუთვა (ნებისმიერი ნაკეთობა და მასალა, რომლებიც განკუთვნილია იმ სახით, რა სახითაც ისინი შემოტანილია საქონლის შეფუთვის, დაცვის, განთავსების, დამგრების ან დანაწევრების მიზნით, გარდა შესაფუთი მასალისა, როგორცაა: ჩალა-ნაძევა, ქაღალდი, შეშაბაზა, ბურბუშულა და სხვა);

ლ.დ) ნიმუში (ნაკეთობა, რომელიც არის გარკვეული კატეგორიის მზა საქონელი ან წარმოებისათვის ვათვალისწინებული საქონლის ნიმუში, გარდა იდენტური ნაკეთობისა, რომელიც მიეწოდა იმავე პირის მიერ ან გაეგზავნა იმავე მიმღებს იმ რაოდენობით, რომელიც ერთად აღებული, საყოველთაოდ მიღებული ვაჭრობის წესების თანახმად, აღარ არის ნიმუში);

ლ.ე) სარეკლამო ფილმი (გამოსახულების გადაღებული მატარებლები (ფონოგრამით ან ფონოგრამის გარეშე), რომელიც აჩვენებს უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ გასაყიდად ან გასაქირავებლად შემოთავაზებული ნაკეთობის ან მოწყობილობის არსს, იმ პირობით, რომ ის გამოსადგევა პოტენციური კლიენტისათვის საჩვენებლად, მაგრამ არა საჯარო დათვალიერების დარბაზში, შემოტანილია ყოველი ფილმის თითო ასლის შემცველ საფუთავში და არ არის ფილმის უფრო დიდი ამანათი);

ლ.ვ) საქონელი, რომელიც შემოტანილია გამოცდის, შემოწმების, ცდებისა და ჩვენების ჩატარების მიზნით;

ლ.ზ) საქონელი, რომელიც გამოიყენება გამოცდის, შემოწმების, ცდებისა და ჩვენების ჩატარების პროცესში;

ლ.თ) გადაღებული და გამჟღავნებული კინმატოგრაფიული ფირები, აგრეთვე პოზიტიური და გამოსახულების მატარებელი ფირები, რომლებიც განკუთვნილია მათ კომერციულ გამოყენებამდე საჩვენებლად;

ლ.ი) ფირი, მაგნიტური ლენტი, მაგნიტური ფირი და ხმის ან გამოსახულების მატარებელი სხვა ფირი ან ლენტი, რომლებიც განკუთვნილია გახმოვანებისათვის, დუბლირებისა და ხმის ან გამოსახულების აღწარმოებისათვის;

ლ.კ) ჩაწერილი ინფორმაციის მატარებლები, რომლებიც განკუთვნილია უფასოდ გაგზავნილ და განკუთვნილ მონაცემთა ავტომატური გადამუშავებისათვის;

ლ.ლ) ნაწარმი (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით), რომელიც თავისი მახასიათებლებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარკვეული სახის ნაწარმის რეკლამირებისათვის ან გარკვეული მიზნით პროპაგანდისათვის."

14. 155-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


"1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებში თავისუფალ ზონასა და თავისუფალ საწყობში დასაშვებია ნებისმიერი საქონლის წარმოება ან მომსახურების გაწევა, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. ასეთი საქმიანობის განხორციელების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს."

15. 209-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საბაჟო ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ ვალდებული პირის

საქართველოს პარლამენტი





დასაბუთებული წერილობითი განცხადების მიღების შემდეგ საბაჟო ვალდებულებების დაფარვის გადაადგმის უფლება აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსს/მის მოადგილეს."

16. 215-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშიდან სავადასახალო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე ჩასარიცხი თანხის პროცენტი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ეს პროცენტი იმდენი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ზედმეტად გადახდილი თანხის სრულად დაბრუნება ამ კოდექსით განსაზღვრულ ვადაში."

17. 217-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას და საბაჟო ორგანოს წერილობითი გადაწყვეტილების წარდგენის უზრუნველყოფის შემთხვევაში საბაჟო პროცედურების განმარტაციულ-სამართლებრივ პირს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს სადავო საკითხი გაასაჩივროს საქართველოს სავადასახალო კოდექსის დირექტორის კართი დადგენილი წესით."

18. 218-ე-222-ე მუხლები და 558-მე თავი ამოღებულ იქნეს.

19. 235-ე მუხლის მე-2 ნაწილი:

ა) "ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თანამდებობის პირები;"

ბ) "ბ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

20. 240-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საბაჟო დეკლარაციაში საქონლის სახეობის, რაოდენობის, წარმოშობის ქვეყნის ან/და საბაჟო ღირებულების შესახებ არასწორი მონაცემების შეტანა, რაც იწვევს საბაჟო გადასახდლების ოდენობის შემცირებას ან არასატარიფო ღონისძიებებისათვის თავის არიდებას, თუ ეს ქმედება არ შეიცავს ამ კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევის ნიშნებს, -

იწვევს დეკლარანტის დაჯარიმებას გადასახდელი საბაჟო გადასახდლების თანხის 50 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1 000 ლარისა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე გადასახდელი საბაჟო გადასახდლების თანხის 200 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2 000 ლარისა, ან/და საბაჟო სამართალდარღვევის სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევას."

21. 242-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 242. საბაჟო საზღვარზე საქონლის უკანონოდ გადატანა ან გადმოტანა

1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან/და ლოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოჭყუებით გამოყენებით ან/და საბაჟო დეკლარაციაში ან სხვა საბაჟო ლოკუმენტში ცალბე მონაცემების შეტანით, -

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ამ მოძრავი ნივთის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2 000 ლარისა, ან/და საბაჟო სამართალდარღვევის სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე ამ მოძრავი ნივთის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 4 000 ლარისა, და საბაჟო

ცხრილი





სამართალდარღვევის სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევას."

**მუხლი 2**

1. ამ კანონის პირველი მუხლის მე-17 და მე-18 ნაწილების ამოქმედებამდე საბაჟო ორგანოებში შეტანილ შესავთვლს განიხილავენ საბაჟო გადაწყვეტილების გამოცემა საბაჟო ორგანოები ამ კანონის პირველი მუხლის მე-17 და მე-18 ნაწილების ამოქმედებამდე მოქმედი დებულებების შესაბამისად, ხოლო საბაჟო ორგანოს მიერ შესაგებელზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება იმავე წესით, რომელიც დადგენილია ამ კანონით საბაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-17 და მე-18 ნაწილების ამოქმედებამდე 15 კალენდარული დღის ვადაში გაგზავნილ საბაჟო გადაწყვეტილებაზე საჩივარი ან სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს საბაჟო გადაწყვეტილების მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-17 და მე-18 ნაწილების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში საბაჟო გადაწყვეტილებაზე საჩივრის ნაცვლად შესაგებლის შეტანა არ შეიძლება ჩაითვალოს ხარვეზად.

4. თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2007 წლის 1 იანვრამდე მოქმედი 214-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩამდენ პირს შეუძმირდება ან გაუუქმდება სასჯელი (მათ შორის, სამართალდარღვევის ამ კანონის ამოქმედების შემდეგ აღმოჩენის შემთხვევაში), ასეუ პირს (მათ შორის, იმ ოურიდიულ პირს, რომელსაც წარმოადგენდა სამართალდამრღვევი) შემცირებული ან გაუქმებული სასჯელის სანაცვლოდ ფინანსურმა პოლიციამ ან შემოსავლების სამსახურმა უნდა დააკისროს ამ კანონის პირველი მუხლის მე-20 და 21-ე ნაწილებით დადგენილი სანქციები ჩადენილი ქმედების შინაარსისა და სიმძიმის ხასიათისა და მოხდილი ან მოსახდელი სასჯელის ოდენობის გათვალისწინებით.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში გაერთიანებამდე, ამ კანონით განსაზღვრული შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილებები განახორციელოს საბაჟო დეპარტამენტმა.

**მუხლი 3**

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლის მე-17 და მე-18 ნაწილებისა, ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-17 და მე-18 ნაწილები ამოქმედდეს შემოსავლების სამსახურის შექმნისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 2007 წლის 1 აპრილისა.

საქართველოს პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,  
2006 წლის 29 დეკემბერი.  
4256-რს  
გამოქვეყნებულია №51 მაცნეში  
31.12.2006  
ნაწილი I

იგივედგენ ამისაყ



საქართველოს კანონი

"ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ"

საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების  
შეთანის თაობაზე

მიღებულია - 29.12.2006 წ. ქალაქია - 01.01.2007 წ.  
31.01.2007 წ. - მდგომარეობით

მუხლი 1. "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენ-  
ტის უწყებანი, №21-22, 14.06.1998, გვ. 6) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. პირველი და მე-2 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 1. ადგილობრივი მოსაკრებლის ცნება

ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმ-  
მართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილო-  
ბრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალ-  
ისწინებული საკმინანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის.

მუხლი 2. კანონმდებლობა ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ შედგება "მოსაკრე-  
ბლების სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონისაგან, ამ კანონისა და სხვა ნორმატი-  
ული აქტებისაგან."

2. მე-2 მუხლის შემდეგ დაემატოს სიტყვები:

"თავი II

ადგილობრივი მოსაკრებლების სახეები, მათი

შემოღებისა და გადახდევინების წესი".

3. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 3. ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი

1. ამ კანონით დადგენილი წესით ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და  
მათზე შეღავათების დაწესების უფლება აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით  
ორგანოს - საკრებულოს.

2. ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და მათზე შეღავათების დაწესების  
შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორი-  
აზე და ვრცელდება ყველა იქ მცხოვრებ ფიზიკურ და განლაგებულ იურიდიულ პირზე, გარდა  
კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. ადგილობრივი მოსაკრებლები გადახდევინება წინასწარ, ადგილობრივი თვითმმართველო-  
ბის ორგანოს მიერ გადახდელისათვის კანონით განსაზღვრული საკმინანობის განხორციელების ან/  
და სარგებლობის უფლების მინიჭებამდე. გადახდევინებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ადგი-  
ლობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურს.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევი-  
სათვის ადგილობრივი მოსაკრებელი გადახდევინება მომსახურების მთლიანად ან მისი ნაწილის  
მიღების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენი-  
ლი წესით.

5. სახეების მიხედვით ადგილობრივი მოსაკრებლების დიფერენცირებულ ოდენობას, გადახ-

პირველი მუხლი





დის პერიოდულობასა და ვადას ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო შესაბამისი გადაწყვეტილებით.

6. ადგილობრივი მოსაკრებლები გადაიხდებიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად.

7. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შემოღებული მოსაკრებლები მთლიანად ჩაირიცხება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

8. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ სამსახურს შეუძლია ადგილობრივი მოსაკრებლების ამოსაღებად შესაბამის იურიდიულ პირებთან გააფორმოს ხელშეკრულება."

4. მე-5 და მე-6 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 5. ადგილობრივი მოსაკრებლები

1. ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლები:

ა) მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის;

ბ) მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის.

2. ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

3. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის.

მუხლი 6. მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის

1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მე-საკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

2. საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატებოდეს ერთ ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის - ხუთ ლარს.

3. საკრებულოს გადაწყვეტილებით მოსაკრებლის გადახდისაგან შეიძლება განთავისუფლდეს ან შეაკავთი დაუწესდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობას."

5. მე-7, მე-8 და მე-9 მუხლები ამოღებულ იქნეს.

6. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 10. მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის

1. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

2. მოსაკრებლების დიფერენცირებულ ოდენობას სამგზავრო-სატრანსპორტო საშუალებათა კატეგორიებისა და მარშრუტების მიხედვით განსაზღვრავს საკრებულო.

3. საკრებულოს მიერ განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობა თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე თვეზე გაანგარიშებით არ უნდა აღემატებოდეს ორას ლარს."

7. მე-11 და მე-12 მუხლები ამოღებულ იქნეს.

8. 121 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

9. მე-13 მუხლის:

საპანონმდებლო სიხსენი



ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ადგილობრივ სატენდერო მოსაკრებელს იხდის ის პრეტენდენტი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას იღებს სატენდერო დოკუმენტაციას.";

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

10. მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. უკანონოდ ან კანონის დარღვევით შემოღებული ადგილობრივი მოსაკრებლების სახით გადახდილი თანხა გადაიხდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უბრუნდება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან ერთი თვის ვადაში.".

11. მე-17 და 17 მუხლები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2006 წლის 29 დეკემბერი.

N4241-რს

საქართველოს პარლამენტი





საქართველოს ფინანსთა სამინისტროს  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1505

"საკონტროლო-სალარო აპარატების დალუქვის წესების შესახებ შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის №178 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მიღებულია - 01.12.2006 წელსა ში ა - 07.12.2006 წ  
31.01.2007 წ - მდგომარეობით

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ებრძანებ:

1. "საკონტროლო-სალარო აპარატების დალუქვის წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის №178 ბრძანებაში (სსმ რბ, 2006 წ., №32, მუხლი 372) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები;

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა 2007 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს საკონტროლო-სალარო აპარატების ამ ბრძანებით განსაზღვრული თვითწესადი ლუქების შესაბამისი რაოდენობებით დაბეჭდვის ორგანიზება და საგადასახადო დეპარტამენტისათვის გადაცემა, მათი საგადასახადო ინსპექციებზე გადანაწილების მიზნით.;"

ბ) მე- 4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. საგადასახადო ორგანიზებმა ამ ბრძანებით გათვალისწინებული საკონტროლო-სალარო აპარატების ლუქების გამოყენება დაიწყო 2007 წლის 15 იანვრიდან საგადასახადო ორგანიზში რეგისტრირებული საკონტროლო-სალარო აპარატების მიმართ, ხოლო 2007 წლის 15 იანვრამდე დარეგისტრირებული საკონტროლო-სალარო აპარატების დალუქვა, ამ ბრძანებით დადგენილი წესით, განხორციელდეს 2007 წლის 15 იანვრიდან არა უგვიანეს 2007 წლის 1 მაისამდე.

5. 2007 წლის 1 მაისამდე საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული სანქციები ლუქის გარეშე მუშაობისათვის ან მისი დაზიანებისათვის გავრცელდეს მხოლოდ იმ გადამხდელზე, რომელთა საკონტროლო-სალარო აპარატები დაექვემდებარა დალუქვას ამ ბრძანების მე-4 პუნქტის შესაბამისად და მათი მხრიდან დალუქვის შემდეგ იქნა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევა."


2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ააღიქსიშვილი

გამოქვეყნებულია №164 მაცნეში  
07.12.2006  
ნაწილი III

საქართველოს პარლამენტი





საქართველოს ფინანსთა სამინისტროს  
ბრძანება № 1123

"საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ორგანოების საბაჟო ორგანოების სამოქმედო ტერიტორიების, საბაჟო გაფორმების ალბომისა და ღრობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 13 ივნისის 309 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე  
მიღებულია - 06.11.2006 წ. ძალაშია - 23.11.2006 წ.  
31.01.2007 წ. - მდგომარეობით

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ორგანოების სამოქმედო ტერიტორიების, საბაჟო გაფორმების ალბომისა და ღრობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 13 ივნისის N309 ბრძანებაში (სსმ III ნაწ, 2003 წ., N56, მუხ. 489) შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად,  
გაბრძანებ:

მუხლი 1. "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ორგანოების სამოქმედო ტერიტორიების, საბაჟო გაფორმების ალბომისა და ღრობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 13 ივნისის N309 ბრძანებაში (სსმ III ნაწ, 2003 წ., N56, მუხ. 489) შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"6. ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული 700 ლარამდე ღირებულების საქონელი, ამ პირის თხოვნის საფუძველზე ექვემდებარება გაფორმებას იმ საბაჟო-გამშვებ პუნქტებსა და საბაჟო საგუშაგოებზე, სადაც მის მიერ ხორციელდება საქონლით საბაჟო საზღვრის გადაკვეთა. მიუხედავად ამ პუნქტის პირველ წინადადებაში აღნიშნული დებულებისა საბაჟო-გამშვებ პუნქტებში - "წითელი ხიდი", "სადახლო", "სამთაწყარო", "გუგუთი", "ანკერპი", "მტკვარი", "ვალე" და "ყაზბეგი" განხორციელდება მხოლოდ ექსპორტისა (ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული 700 ლარამდე ღირებულების საქონლისა) და სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმის საბაჟო რეჟიმებში დეკლარირება, ხოლო ამავე პუნქტების გავლით გადაადგილებული საქონლის დეკლარირება თავისუფალ მიმოქცევაში გამშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში განხორციელდება უახლოეს ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ საბაჟო გაფორმების ადგილზე."

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ა. ალექსიშვილი

გამოქვეყნებულია №151 მაცნეში  
09.11.2006  
ნაწილი III



აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე –  
ბამოჩენილი მკვნიერი, აღზრდილი და საზოგადო  
მოღვაწე



(ვასილ ჩანტლაძის იუბილეს  
აღსანიშნავად)

მეცნიერების ჭეშმარიტი რაინდი – ვასილ ჩანტლაძე, ჩინებული მასწავლებელი და აღზრდილი, შესანიშნავი მეგობარი და სამაგალითო დამოუკიდებელი. ის მძლავრ ინტელექტუალურ სიღრმესთან და სიმაღლესთან ერთად უზარმაზარ, ამოუწურავ სულიერ და ზნეობრივ ენერჯიას ფლობდა, რომელიც სათავეს იდებს პირად პასუხისმგებლობაში გადასული საქმისადმი, პროფესიონალური მოღვაწეობისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და თავდადების საერთო წიაღიდან.

ბატონი ვასილი ერთადერთი ქართველი ეკონომისტი, რომელიც უღრესად ნაყოფიერი მეცნიერულ-პედაგოგიური ცხოვრებით სუნთქავდა 70 წლის მანძილზე და 90 წლის ასაკშიც ჭაბუკური ალტყინებითა და გატაცებით ეწეოდა აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მძიმე და საპატიო ჭაპანს.

ბატონი ვასილი განეკუთვნა განსხვავებული განსაკუთრებული ადამიანური შესაძლებლობებით დაჯილდოვდა, რაც სინამდვილედ აქცია მისმა ვასოკარმა, გამორჩეულმა შრომისმოყვარეობამ, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცემ და შეუვალმა პრინციპულობამ.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით ზომ ქართველ ეკონომისტ – მეცნიერთა მთელი თაობა აღიზარდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი მიღწევებით საყოველთაო პატივი და აღიარება მოიპოვეს.

ვ. ჩანტლაძის დამსახურებული აღიარება, საყოველთაო მოკრძალებული პატივისცემა, მის მიერ განწილი გზა სამაგალითო ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ლოგიკური შედეგაა.

ვასილ ჩანტლაძე უზარმაზარ, განსაკვივრებელ ცოდნას ფლობდა. არასოდეს გამორჩებოდა არა მარტო მსოფლიო ფინანსისტ-ეკონომისტთა, არამედ სხვა დარგების მეცნიერთა უკანასკნელი ნაშრომები და მიღწევები. ჩამოთვლაც კი გაგვიჭირდებოდა ყველა დარგისა, იმდენად ფართო და ყოვლისმომცველი იყო მისი მეცნიერული ინტერესების სფერო და თვალსაწიერი.

ეროვნული ეკონომიკური აზროვნების სიღვიძისა და უკვდავების დიდი კიბნა ბატონი ვასილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნამდვილი „მარგალიტი“ – შოთა რუსთაველის ეკონომიკური იდეები. ამ წიგნის შესახებ კვლავაც ზვერი დაიწერება, მის შეფასებას დიდი დრო, ცოდნა და ენერჯია სჭირდება, მაგრამ ძალიან მოკლედ და ზოგადად აქაც რამდენიმე სიტყვით გვინდა შევეხოთ. „კარგ მოქმელს კარგი გამგონე უნდა“ –ო ზუსტად ამ შრომაზეა ნათქვამი. გენიალური პოეტის მხავეტრულ ქარავამში მოქცეული ეკონომიკური შეხედულებები ბატონმა ვასილმა გამოიყენო დიდი სიზუსტითა და სისრულით. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც „ეფესისტყაოსანი“ მარტივად და გასაგებად წაითხის ეკონომიკის ენაზე და ასე მარტივად, მიმზიდველად და საინტერესოდ მიაწოდა იგი მკითხველს.

მაგრამ მთავარია, რა მიაწოდა?

პირველი ის, რომ XII საუკუნეში ჩვენს ერს ჰყავდა უზარმაზარი პოეტი, რომელმაც უკვდავ კწნილება „ეფესისტყაოსანში“ ვასოკარი სიღრმით ჩააქსოვა „ეკონომიკური პოეზია“, ეპოქის ეკონომიკური სუნთქვის მამოძრავებელი ძალები და კანონზომიერებები;

მეორე ის, რომ ეს ძალები და კანონზომიერებები, ეროვნული ელფერის მიუხედავად, ნამდვილად იდგა განათლებული მსოფლიოს ეკონომიკური სტანდარტების დონეზე;

ბატონი ვასილი





მესამე ის, რომ შოთა რუსთაველის „ეკონომიკური პოეზია“ არ იყო მარტო XII საუკუნის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი. იგი სრულყოფილად ასახავდა მომავალი საუკუნეების პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების სანუკვარ მიზნებსა და ინტერესებს და ამ მხრივ იგი უკვდავია;

მეოთხე ის, რომ სახელმწიფო სიძლიერე, საზოგადოების სისხლსავსე ცხოვრება, ადამიანის ბედნიერება წარმოუდგენელია მტკიცე ეკონომიკური ბაზისის გარეშე პატიოსანი შრომის, ბარაქისა და დოვლათის სიუხვის გარეშე;

მეხუთე ის, რომ ასეთი პირობების შექმნისათვის აუცილებელია ეპოქის შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომლის ძირითადი მიზანი იქნება: ხალხის, მთელი საზოგადოების კეთილდღეობა, პროგრესის უანგარო სამსახური, ბოროტების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, სინდისისა და პატიოსნების წინა პლანზე წამოწევა, მოწყალებისა და ქველმოქმედების ფართოდ გავლა და ა.შ.

ამ ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება და ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ავტორი, კონკრეტული ეკონომიკური პოზიციებიდან გამომდინარე, მკაცრი ლოგიკურობით ნათელს ჰყენს „ეფფხ-ისტყაოსანთან“ დაკავშირებულ რიგ სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და სხვა საკითხებს, ამის გამო იგი შეფასებული უნდა იქნას როგორც ნათელი მაგალითი იმისა, რომ „ეფფხისტყაოსნის“ მაღალი მხატვრული სახეები ასხივონებენ აზრებს, პრინციპულ აზრებით, თავის მხრივ, ელვარებას მატებენ „მხატვრულ სახეებს“. ეს პარონია კი უკვდავყოფს მის შემოქმედს.

დარწმუნებული ვართ, რომ ბატონი ვასილი, სხვა რომ არაფერი შეეკმნა, მარტო ამ გამოკვლევითაც დაიკავებდა ამაღლებულ, საპატიო ადგილს ეროვნული ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში.

დიდი ამაგი დასდო ბატონმა ვასილმა ქართველი ხალხის უკვდავი შვილის, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური იდეების შესწავლა-გამომზიურებას, პროგრესული განვითარებადი მხარეების ჩვენებას, ამ იდეების ორიგინალური ხასიათის, მაღალი ღონისა და სიცოცხლისუნარიანობის საყოველთაო აღიარებას.

მოკრძალებული პატივისცემით და სიყვარულითაა გამსჭვალული ბატონი ვასილის შრომები, რომელ-იც ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის ეკონომიკურ-ფინანსური შეხედულებების შესწავლას. ამ შრომებში დამტკიცებულია, რომ ივანე ჯავახიშვილი არის პირველი მკვლევარი, რომელმაც საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური აზროვნების ისტორია მტკიცე მეცნიერულ სისტემაში მოაქცია და ამით დასაბამი მისცა მის თანმიმდევრულ და სისტემატურ კვლევა-ძიებას.

ვ. ჩანტლაძემ მოგვცა ცდა ფინანსური აზრის განვითარების ისტორია მონათმფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ საზოგადოებაში, დაწვებული ქსენოფონტედან და არისტოტელედან, დამთავრებული თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტებით. ცალკე მონორაფიის სახით შესწავლილია ჰენრი ჯორჯისა და მისი თანამაზრეთა ეკონომიკურ-ფინანსური შეხედულებანი.

და კიდევ... რომელი ერთი ჩამოეთვალოთ, რომელი ერთი დავასახელოთ, ბატონი ვასილის შრომები ხომ კრიალოსნის მძი ვებებითაა ასხმული ერთ მძლავრ ინტელექტუალურ ძალაზე, ეროვნული სიამაყის გრძნობა რომ ათბობს და აფაჩიხებს, აზრთა სიღრმითა და სისადავით მკითხველს რომ ხიბლავს, მისდამი მოკრძალებული პატივისცემით რომ განგაწყობს.


საქართველოს ეკონომიკური ისტორია

**გვეფხან ხელაია**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**ლამარა ქოქიაშვილი**, ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



2006 წელს მსოფლიოში მილიარდზე მეტი  
მობილური ტელეფონი გაიყიდა

2006 წელს მობილურ ტელეფონების გაყიდვა წინა წლებთან შედარებით ერთიმეოთხედით გაიზარდა და პირველად გადააჭარბა მილიარდიან ზღვარს. თუ 2005 წელს გაიყიდა 810 მილიონი მანქანაზე მეტი, 2006 წელს ეს მაჩვენებელი 1,018 მილიონ-არდის ძირითადი ნაწილი თარუბად ქვეყნებზე მოდის, დოეთი, პაკისტანი, ბანგრია. სპეციალისტთა აზრით ტელეფონების გაიფუბა, ბა მცირე შემოსავლიან საპირისპირო ტენ-ნებში. იქ გაყიდული მობი-თო რაოდენობა რამდე-გაიზარდა ძვირადღირებული თანამედროვე ტელეფონების გაყიდვითა რიცხვი.



ტელეფონი, 2006 წელს ეს ამდენი გაიზარდა. ბაზრის ნაზ-ახისა და აფრიკის განვი-მათ რიცხვში ლიდერობენ ინ-ლადეში, ინდონეზია და ნიგე-ამის მიზეზი მობილური რომელთა შემქნის საშუალე-ოჯახებსაც გაუნდათ. დენცია განვითარებულ ქვე-ლური ტელეფონების საერ-ნადმე შემცირდა. თუმცა

სატელეფონო ბაზარზე 2006 წელს პირველი ადგილი ეკავა 'ნოკიას' (მსოფლიო ბაზრის 34%), 'მოტოროლას' (22%), შემდეგ მოდიან 'სამსუნგი', 'სონი-ერიქსონი' და სხვა. ექსპერტთა აზრით, 2006 წლის ტენდენციები 2007 წელსაც გაგრძელდება.

საქართველოს მსოფლიო

'იაჰუ' ინდოეთის ბაზარს იკმრობს

კომპანია „yahoo-მ“ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ინდოეთის ბაზრის ათვისების საქმეს. მან თავისი პორტალები შეიდ ადგილობრივ ენაზე თარგმნა - ამ ღონისძიებით კომპანიის მესვეურები ვარაუდობდნენ მომხმარებლის მოზიდვას. ინტერნეტის მომხმარებელთა ქვეყნის დანარჩენი სამაგიეროდ კარგად იცინი 'ინტერნეტიზაციის' შემდეგ კი, ქსელის მომხმარებელთა გაიზრდება. ამას აუცილებლად მოჰყვება ინტერნეტ მომსახურების გაიფუბა.



ასობით მილიონი ახალი ინდოეთში ინგლისურის მცოდნე რიცხვი 30 მილიონია, ხოლო მოსახლეობა ამ ენას არ ფლობს, მშობლიური ენა, ამ ენათა 'ყაოლ-ს' ვარაუდით, გლობალური რიცხვი 300-400 მილიონით

მსგავსი გეგმები აქვს „yahoo-ს“ მობილური ინტერნეტის და ელექტრონული ფოსტის მიმართაც. ამასთან, უკვე დიდი ხანია არსებობს ცხრა ინდურ ენაზე მოქმედი ინტერნეტ-პეიჯერი. სულ კი ინდოეთში 415 ცოცხალი ენაა.



### ჩინეთში მ-4 თაობის მობილურ კავშირზე მუშაობენ

ჩინეთში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ იქაური კომპანიები მიბილური კავშირის თანამედროვე სისტემის მესამე თაობის გვერდის ავლით მუშაობას იწყებენ მეოთხე თაობის სისტემაზე. ქალაქ შანხაიში უკვე ჩატარდა ამ სისტემის პირველი წარმატებული გამოცდა. საქმე იმაშია, რომ ჩინეთის უდიდეს ნაწილში მესამე თაობის ტექნოლოგიები არაა დანერგილი. ამის მიზეზი ისაა, რომ თავის დროზე თვით ჩინეთი ცდილობდა მსგავსი სისტემის შექმნას და ამიტომაც უცხოურ კომპანიებზე შესაბამისი ლიცენზიები არ გაუცია.



როგორც ვარაუდობენ, მეოთხე თაობის ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევა მობილური კავშირის სიჩქარე 100 მბიტ/წმ-მდე გაიზარდოს, ჩინეთში 2010 წლამდე მთლიანად დაინერგება. ამისთვის უკვე გამოყოფილია თანხაც – 19,3 მილიონი დოლარი

საქართველოში

### ევროპელებს ძველი ვალუტა ენატრებათ

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ევრო 12 ევროპული ქვეყნის საერთო ვალუტა გახდა. მაგრამ დღესაც ამ ქვეყანათა მოსახლეობის დიდი ნაწილი ძალიან სკეპტიკურად არის განწყობილი საერთო ევროპული ფულის მიმართ. იტალიის სამი მოქალაქედან ორს, გერმანელების ნახევარზე მეტს და საფრანგეთის მოსახლეობის 95%-ს მიიჩნიათ, რომ ევროს შემოღებამ მათ პირად ფინანსებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.



უნდა ითქვას, რომ ამ მოსაზრებათა საპირისპიროდ, ევროს არსებობამ მთლიანად ევროკავშირის ეკონომიკაზე დადებითი გავლენა მოახდინა.

შევახსენებთ, რომ ევროპაში ევრო 2002 წლიდან შემოიღეს – ავსტრიაში, ბელგიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ირლანდიაში, ესპანეთში, იტალიაში, ლუქსემბურგში, ნიდერლანდში, პორტუგალიაში, ფინეთსა და საფრანგეთში. 2007 წლის 1 იანვარს კი ამ ქვეყნების რიცხვს სლოვენია დაემატა.

რუბრიკა მოიხზადა ლაშა ბაბელიამ



# გ ა მ ო ნ ი წ ა რ ა თ

## საგარეო ეკონომისტი

მეწარმეების, ბუღალტრების,  
აუდიტორების, ეკონომისტების,  
საბაღასახალო ინსპექტორების  
სამაგიდლო ჟურნალი

ხელმოწერის ღირებულებაა:

3 თვე – 27 ლარი | 9 თვე – 81 ლარი  
6 თვე – 54 ლარი | 12 თვე – 108 ლარი

გამოდის თვეში სამჯერ

წლიური ხელმოწერის შემთხვევაში საჩუქრად  
გადმოგვცემთ „საქართველოს საბაღასახალო  
კოდექსი“ (კოდიფიცირებული ტექსტი)

ჩვენი რეკვიზიტებია:

აღ. გრიბოედოვის ქ. №15

ტელ: 92-23-05  
(899)56-23-02  
(899)30-13-72